

სამოქალაქო სამართალი

(სამოქალაქო სამართლის ზოგადი დებულებანი)

(სასწავლო – მეთოდური მასალა

ცოდნის შემოწმებისათვის)

თბილისი

2011

ISBN978-9941-0-3409-1

რედაქტორი: ელენე მჭედლიშვილი

შემდგენლები: თბილისის ილია ჭავჭავაძის

სახელობის უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის მაგისტრები:

1. ზურაბ მამნიაშვილი
2. თამარ ჯობავა
3. გივი ბეროშვილი
4. თამარ ჭანტურია

საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის მაგისტრები:

5. თამარ ფურცელაძე
6. გიგა გიგაშვილი
7. დიანა სვანაძე

ხელმძღვანელი: პროფესორი ია ხარაზი

წინასიტყვაობა

ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის უნივერსიტეტის მაგისტრანტებს წაეკითხათ ლექციების კურსი სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში. აღნიშნული სალექციო მასალის საფუძველზე მაგისტრანტებმა ხელმძღვანელის სრული პროფესორი ია ხარაზის უშუალო დახმარებით და მითითებით, მოამზადა დამხმარე სასწავლო – მეთოდური მასალა, რომელშიც გამოყოფილია კითხვარები, ტესტები და სხვა უმნიშვნელოვანესი საკითხები. ვფიქრობთ, რომ იგი დახმარებას გაუწევს იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებს სამოქალაქო სამართლის შესწავლაში.

იმედს გამოვთქვამ, რომ ანალოგიური სასწავლო – მეთოდური და დამხმარე მასალა მომზადდება სხვა სასწავლო დისციპლინებშიც.

სრული პროფესორი: ია ხარაზი

შესავალი

უმაღლესი იურიდიული სასწავლებლების სასწავლო – მეთოდური გეგმა, როგორც წესი ითვალისწინებს ისეთი დისციპლინის შესწავლას, როგორცაა «სამოქალაქო სამართალი». უნდა აღინიშნოს, რომ ეს სასწავლო დისციპლინა მოიცავს სამოქალაქო სამართლის ზოგად და კერძო ნაწილებს, ასევე სამოქალაქო საპროცესო სამართალს.

რომის სამართლის ეპოქიდან მოყოლებული კონტინენტური ევროპის იურიდიული მეცნიერება სამართალს კერძო და საჯარო სამართლად ჰყოფს. ერთი მათგანისათვის საკმარისია მონაწილეთა ურთიერთშეთანხმება, მათი ინტერესების შეთანხმება (მაგ: ნასყიდობის დროს), სხვა ურთიერთობებისათვის კი დამახასიათებელია საჯარო ხელისუფლების ორგანოსადმი დამორჩილება (მაგ: სავალდებულო სამსახურების გავლა) და სხვა.

«სამართლის კერძოდ და საჯაროდ დაყოფა წარმოადგენს იმ ფუნქციას, რომელსაც სამართალი ასრულებს საზოგადოებაში. ესაა კერძო და საზოგადო ინტერესებს შორის ჰარმონიულობის მიღწევა»¹

კერძო სამართალი აწესრიგებს ცალკეულ პირთა შორის წარმოშობილ ურთიერთობებს, რომლებიც თანასწორუფლებიანობის პრინციპზეა აგებული («კერძო ავტონომია»), ხოლო საჯარო სამართალი პირველისაგან განსხვავებით არის ხელისუფლებისა და ურთიერთდაქვემდებარების წესრიგი.

კერძო სამართლის შიგნით უნდა განვასხვავოთ სამოქალაქო სამართალი, რომელიც თავისთავად განიყოფება ზოგად და კერძო ნაწილებად, თუმცა პრაქტიკულად სამოქალაქო კოდექსით განმტკიცებული ნორმები და ინსტიტუტები არ შემოიფარგლება მხოლოდ საკუთრივ სამოქალაქო სამართლით და ვრცელდება კერძო სამართლის სხვა დარგებზეც: საკორპორაციო, ინტელექტუალური, შრომის სამართალზეც და სხვა.

¹ ლადო ჭანტურია, შესავალი სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში. (დამხმარე სახელმძღვანელო იურიდიული ფაკულტეტების სტუდენტებისათვის). გამომც. «სამართალი», თბ.2000. გვ. 36.

ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის უნივერსიტეტის კერძო სამართლის სპეციალობის მაგისტრანტებს წაგვეკითხა ლექცია სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, რომლის შესწავლის პროცესში მაგისტრანტის ცოდნის შემოწმების მიზნით სამჯერ იქნა ჩატარებული ტესტირება. შემდგომი შემაჯამებელი ტესტირების საშუალებით მაგისტრანტები შეფასებულ იქნენ შესაბამისი ქულობრივი შეფასებით.

სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილის კურსის შესწავლამ დაგვანახა, რომ სასწავლო პროცესში დიდი დახმარება შეიძლება გაგვიწიოს პრაქტიკული დანიშნულების სასწავლო – მეთოდურმა მასალამ, რომელშიც ამ საგნის შესწავლის პროგრამასთან ერთად იქნება მოცემული ლათინური ტერმინოლოგია, კითხვარები, ტესტები და მათზე შედგენილი სწორი პასუხები. რა თქმა უნდა აღნიშნულ პრაქტიკულ სახელმძღვანელოს არ შეუძლია შეცვალოს ლიტერატურული წყაროები, რომლებიც რეკომენდირებულია სამოქალაქო სამართლის შესასწავლად. იგი საშუალებას იძლევა სტუდენტებს დაეხმაროს ცოდნის თვითშემოწმებაში და საგნის მომზადებისას შედეგების შეჯამებაში.

მაგისტრანტები:

1. ზ. მამნიაშვილი
2. თ. ჯობავა
3. გ. ბეროშვილი
4. თ. ჭანტურია
5. თ. ფურცელაძე
6. გ. გიგაშვილი
7. დ. სვანაძე

ტერმინოლოგია, უცხო ენოვანი გამოთქმები

Active capacity (ინგ) - ქმედუნარიანობა

Actus juridici (ლათ) – იურიდიული მოქმედებანი

Agency (ინგ) – წარმომადგენელი ინგლისური სამართლის მიხედვით

Artificial (ინგ) – იურიდიული პირის ერთ-ერთ აღმნიშვნელი ამერიკულ სამართალში

Burgerlich Gesetzbuch (გერ) - გერმანიის სამოქალაქო კოდექსი

Capacite de jouissance (ფრანგ) - უფლებაუნარიანობა

Capacity for act (ინგ) - ქმედუნარიანობა

Case Law (ინგ) – პრეცედენტური სამართალი

Chartrt (ინგ) - წესდება

Civili Law (ინგ) – სამოქალაქო სამართალი

Code Civil (ფრანგ) - საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსი

Codex Iustinianus (ლათ) - იუსტინიანეს კოდექსი

Contractus (ლათ) - ხელშეკრულება

Contractus estimatoris (ლათ) – შეფასებითი ხელშეკრულება

Cuassi delicta (ლათ) - ფსევდოდელიქტები

Compilatio (ლათ) – ნაშრომი, რომელიც აგებულია სხვადასხვა ავტორისაგან ნასესხები მასალებით და არ შეიცავს დამოუკიდებელ გამოკვლევასა და დასკვნას

Committens Commitentis (ლათ) – პირი, რომელიც სხვას აძლევს დავალებას (კომისიონერს) დადოს გარკვეული გარიგება თავისი სახელით, მაგრამ კომიტენტის ხარჯზე.

Contradictio (ლათ) – ლოგიკური წინააღმდეგობა

Contrahens (ლათ) – პირი, (ფიზიკური, იურიდიული), რომელმაც ხელშეკრულების დადებით რაიმე ვალდებულება იკისრა

Common Iaw (ინგ) – საერთო სამართალი – სახელწოდება, რომლითაც აღინიშნება ინგლისურ-ამერიკული სამართლის ოჯახი

Corporation (ინგ) - კორპორაცია

Domicile (ინგ) – საცხოვრებელი ადგილი

Damna (ლათ) – ზარალის ანაზღაურება

Damnum imuria datim (ლათ) – სხვისი ქონების დაზიანება

De le ge ferenda (ლათ) – საკანონმდებლო ვარაუდის თვლსაზრისით

De le ge lata(ლათ) – მოქმედი კანონის მიხედვით

De latio(ლათ) - ბრალდება

De positium - (ლათ) - შენახვა

Domicilio generale (იტალ) – ძირითადი საცხოვრებელი ადგილი

Domicilio spegiale (იტალ) – სპეციალური საცხოვრებელი ადგილი იტალიის სამართალში

Dommmage moral (ფრანგ) – მორალური ზიანი (ზარალი)

Dolus directus (ლათ) – პირდაპირი განზრახვა

Dolus mamus (ლათ) – ბოროტი განზრახვა

Dominium (ლათ) - საკუთრება

Dominis (ლათ) - ბატონი

Emptor (ლათ) - მყიდველი

Elegentio jouris (ლათ) – იურიდიული, სამართლებრივი სიზუსტე

Error in negotio (ლათ) – შეცდომა გარიგების სახეობაში

Error in objecto (ლათ) – შეცდომა ობიექტში

Error in persona (ლათ) – შეცდომა პიროვნებაში

Edictum (ლათ) – სხადასხვა სახელმწიფოში უმაღლესი ხელშეკრულების ბრძანებულება განსაკუთრებული მნიშვნელობისა

Eruditio (ლათ) – ღრმა მრავალმხრივი ცოდნა მეცნიერების ამა თუ იმ დარგში

Extraius (ლათ) – კანონის ფარგლებს გარეთ, სამართლის მოთხოვნათა ფარგლებს გარეთ

Habitation residence (ინგ) – პირის რეგულარული საცხოვრებელი ადგილი

Habitation (ფრანგ) – პირის ფაქტობრივი სამყოფელის აღმნიშვნელი ცნება ფრანგულ სამართალში

Ius civile (ლათ) – სამოქალაქო სამართალი

Ius civile roman orum (ლათ) – რომაელთა სამოქალაქო სამართალი

Ius cogens (ლათ) – იმპერატიული სამართალი

Ius commune (ლათ) – საერთო სამართალი კონტინენტურ ევროპაში

Institutciones (ლათ) - ინსტიტუტები

Injodicio (ლათ) – საქმის განხილვა

Iusdisposition (ლათ) – დისპოზიციური სამართალი

Ius patrium (ლათ) - ეროვნული სამართალი

Ius privatum (ლათ) – კერძო სამართალი

Juristisch Person (გერ) – იურიდიული პირი

Iudex unus (ლათ) – ერთპიროვნული მოსამართლე

Iura (ლათ) – კანონები, უფლებები

Ius (ლათ) – სამართალი, მართლმსაჯულება, კანონმდებლობა

Ius crumunal (ლათ) – სისხლის სამართალი

Ius in rem (ლათ) – სანივთო სამართალი

Ius natural (ლათ) – ბუნებითი სამართალი

Ius noon scriptum (ლათ) – დაუწერელი სამართალი

Ius publicum (ლათ) – საჯარო სამართალი

Juristic person (ინგ) – იურიდიული პირის ერთ-ერთი აღმნიშვნელი ინგლისურ-ამერიკულ სამართალში

Legal person (ინგ) – იურიდიული პირის ერთ-ერთი აღმნიშვნელი ინგლისურ-ამერიკულ სამართალში

Leges imperfectal (ლათ) - კანონები, რომლებიც რომის სამართალში აკრძალვებს აწესებდნენ

Rex (ლათ) - კანონი

Locatio condustio operis (ლათ) – ნარდობის ხელშეკრულება

Locatio condustio rei (ლათ) - ნივთის ქირავნობა

Locatio condustio operarum (ლათ) – მომსახურების ხელშეკრულება

Le gis actio (ლათ) – ლეგისაქციური პროცესი

Liberta exambil (ლათ) – ვექსილი, თამასუქი

Mandatum (ლათ) – დავალების ხელშეკრულება

Manus (ლათ) - ხელი

Mora(ლათ) – ვადის გადაცილება

Mandataire (ფრანგ) – რწმუნებული პირი

Manus morrte (ლათ) – მკვდარი ხელი, ე.ი. ფონდი, რომელიც არ წარმოადგენს იურიდიულ პირს

Magister iuris (ლათ) – სამართლის მაგისტრი

Magna culpa (ლათ) – უხეში გაუფრთხილებლობა, უხეში შეცდომა

Mancipare (ლათ) – გაყიდვა, ფორმის დაცვით გაყიდვა

Mancipium (ლათ) – ნასყიდობის საბუთი, საკუთრება; საკუთრების უფლება; გაყიდვის ძველი ხერხი, რომლის დროსაც ნივთს ხელში იღებდნენ ხუთი მოწმის თანდასწრებით და ა.შ.

Mutatio (ლათ) – სახელის შეცვლა

Non patrony mique (ფრანგ) – მამის სახელი

Ninerus clausus (ლათ) – დახურულ რიცხვთა კანონი ნიშნავს რაიმეს ამომწურავ ჩამონათვალს

Narrativus (ლათ) – თხრობითი, მოთხრობითი, მაგ. ისტორიის ნარკვევების წყაროები

Novatio (ლათ) – სამოქალაქო სამართალში მხარეების შეთანხმება მათ მიერ ნაკისრი ერთი ვალდებულების მეორით შეცვლის შესახებ (ზოგადად: განახლება, ცვლილება).

Novation non praesumitur (ლათ) – ნოვაცია არ პრეზუმირდება (არ იგულისხმება)

Neogotiorum gestio (ლათ) – სხვისი საქმის წარმოება დაუვალეზლად

Nullus emptiosine pretio esse potest (ლათ) – ნასყიდობა არ არსებობს ფასის გარეშე

Nullus iuris (ლათ) – იურიდიული შედეგის გარეშე

Optimus (ლათ) – გრძელი შესაძლო ვარიანტიდან ოპტიმალური ვარიანტის ამორჩევის პროცესი

Ordonnance (ფრანგ) საფრანგეთსა და ინგლისში: მეფის ბრძანებულება; ზოგ ქვეყანაში სამართლებრივი აქტი, რომელსაც იღებენ უმაღლესი საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოები

Offertus (ლათ) – წინადადება ისეთი სამოქალაქო სამართლებრივი ხელშეკრულების დადების შესახებ, რომელიც შეიცავს ყველა არსებით პირობას.

Onus probandi (ლათ)- მტკიცების ტვირთი

Pactis pruvatorum juri publiko non derogatur (ლათ) – კერძო ხელშეკრულებები (პაქტები) არ აკანონებენ საჯარო სამართალს

Patens patentis (ლათ) – მინიმუმი, რომელიც ადასტურებს გამომგონებლის განსაკუთრებულ უფლებას გამოგონებაზე; მოწმობა, რომელიც იძლევა კერძო ვაჭრობის ან რეწვის უფლებას.

Postulatum (ლათ) – მტკიცება, რომელიც აღიარებულია რაიმე თეორიის ამოსავალ დებულებად დასაბუთების გარეშე.

Praventio (ლათ) – წინასწარი ზომების მიღება რისამე თავიდან ასაცილებლად

Praesumptio (ლათ) – ვარაუდზე დამყარებული მოსაზრება; რაიმე ფაქტის აღიარება სარწმუნოდ, სანამ არ დამტკიცდება მისი მცდარობა.

Prejudiciel (ფრანგ) – უფლებრივი საკითხი, რომლის წინასწარი გადაჭრის გარეშე არ შეიძლება სასამართლოში გაირჩეს მოცემული საქმე.

Principalis (ლათ) – უფროსი, პატრონი

Procurator (ლათ) – ზოგ ბურჟუაზიულ ქვეყნებში: სავაჭრო ფირმის ერმუნებული, რომელსაც მინდობილი აქვს ყოველგვარი გარიგების დადება.

Persona non grata (ლათ) – არასასურველი პირი

Persona praedilecta (ლათ) – ძალზე სასურველი პირი

Plana fides (ლათ) – სრული ნდობა

Possessio bona fidei (ლათ) – კეთილსინდისიერი მფლობელი

Potestas deligata non potest delegari (ლათ) – დელეგირებული უფლებამოსილის დელეგირება არ შეიძლება

Preascriptio (ლათ) – კეთილსინდისიერი მფლობელი – შეძენითი ხანდაზმულობა

Pacta legitima (ლათ) – ლეგიტიმური შეთანხმება

Receptio (ლათ) – სამართალში: სესხება და შეგუება ამა თუ იმ ქვეყნის პირობებთან სამართლისა, რომელიც შემუშავებულია სხვა სახელმწიფოში ან წინამავალ ისტორიულ ეპოქაში. მაგ. რომაული სამართლის რეცეპცია დასავლეთ ევროპის ქვეყნების მიერ.

Rechtsgeschäft (გერ) - გარიგება

Reston (ლათ) – მმართველი, ხელმძღვანელი

Residence (ფრანგ) – ფიზიკური ყოფნის ადგილის აღმნიშვნელი ცნება ფრანგულ სამართალში

Rule (ინგ) - წესი

Regula iuris (ლათ) - სამართლის ნორმა

Sanatio (ლათ) - ღონისძიებათა სისტემა, რომლის მიზანის გაკოტრების პირას მყოფი ცალკეული კომპანიების, ბანკების, ტრესტების და მისთანათა გადარჩენა

Sanctio (ლათ) - ზემდგომი ორგანოს მიერ რაიმე აქტის დამტკიცება, რაც მას იურიდიულ ძალას ანიჭებს; იძულების, ზემოქმედების ზომა კანონის დარღვევისათვის.

Satisfactio (ლათ) - ძველად, შეურაცხყოფილის დაკმაყოფილება, რაც ჩვეულებრივ დუელში გამოწვევის მიღებით გამოიხატებოდა.

Sequestrum (ლათ) - სახელმწიფო ხელისუფლების მიერ რაიმე კერძო ქონების გამოყენების შეზღუდვა ან აკრძალვა; ყადაღა.

Servitutis (ლათ) – სხვისი ქონებით სარგებლობის უფლება გარკვეულ ფარგლებში. (მაგ. მეზობლის მიწის ნაკვეთზე გავლის, წყლის გაყვანის უფლება და სხვა).

Subjectum (ლათ) – ადამიანი, როგორც მატერიალური სამყაროს შემცნობელი და გარდამქმნელი, პიროვნება.

Specialite legale (ფრანგ) – იურიდიული პირის სპეციალური უფლებაუნარობა (სამართლებრივი სპეციალიზაცია) ფრანგულ სამართალში.

Stare decisive (ინგ) – სასამართლო პრეცედენტი

Servitutis Personarum (ლათ) – პირადი სერვიტუტი

Servitutis Praedialis (ლათ) – ნივთობრივი სერვიტუტი

Sequestrum (ლათ) - სეკვესტრი, შენახვა

Scriptum (ლათ) – წერილობითი საბუთი

Status quo (ლათ) – არსებული მდგომარეობა

Successio (ლათ) - მონაცვლეობა

Successio singularus (ლათ) – სინგულარული (კერძობითი) მონაცვლეობა

Successio universalis (ლათ) – უნივერსალური მონაცვლეობა, საერთო მონაცვლეობა.

Tulus (ლათ) – უფლებრივი საფუძველი ამა თუ იმ სამართლებრივი მოქმედებების განსახორციელებლად

Two treatises on Civil Government (ინგ) – ორი ტრაქტატი სამოქალაქო მმართველობის შესახებ

Tres Faciumt collegium (ლათ) – სამი კაცი შეადგენს კოლეგიას (იგულისხმება კორპორაციის შექმნა). რომის სამართლის მიხედვით კორპორაციაში შეიძლებოდა გაერთიანებულიყო სამი და მასზე მეტი პირი.

Tutela (ლათ) - მეურვეობა

Usufructus (ლათ) – უფლება სხვისი ქონებითა და მისი შემოსავლით სარგებლობისა იმ პირობით, თუ ამ ქონებას არაფერი დააკლდება.

Universitas (ლათ) – იურიდიული პირის წინამორბედი ფორმა კონტინენტური ევროპის საერთო სამართალში.

Usus modermus pandekta rum (ლათ) - «პანდექტების თანამედროვე გამოყენება» - სახელწოდება, რომელიც კონტინენტური ევროპის საერთო სამართალს ეწოდა XVI-XVII საუკუნეებში.

Unitas personarum (ლათ) – ორი კორპორაციის ერთად შერწყმა

Universus ius (ლათ) – სრული უფლება; სრული მფლობელი

Usucapio (ლათ) – საკუთრების უფლების შეძენა ხანდაზმულობით

Universitas facti (ლათ) – ფაქტების ერთობლიობა

Force majeure (ფრანგ) – ვითარება, რომლის თავიდან აცილება შეუძლებელია; გადაულახავი დაბრკოლება

Civile (ლათ) - სამოქალაქო

Venditio (ლათ) - გაყიდვა

Venditor (ლათ) - გამყიდველი

vestimentum (ლათ) – მფლობელობაში შეყვანა, საკუთრებაზე დაფუძნებული მფლობელობა.

Veto (ლათ) – აკრძალვა, ვეტო

Verdict (ლათ. ინგ. ფრანგ.) – განაჩენი, გადაწყვეტილება

Vindicatio (ლათ) - მესაკუთრის უფლება გამოითხოვოს თავისი ქონება სასამართლოს მეშვეობით იმ პირისაგან, რომელიც უკანონოდ ფლობს მას.

Vis absoluta (ლათ) – ფიზიკური იძულება

სამოქალაქო სამართლის ცნება და ადგილი სამართლის სისტემაში.

სამოქალაქო სამართლის წყაროები. სამოსამართლო სამართალი
და სამოსამართლო სამართალშეწმოქმედება

კითხვები:

1. რამდენ ნაწილად ჰყოფს კონტინენტური ევროპის იურიდიული მეცნიერება სამართალს?
2. რას ეწოდება კერძო სამართალი?
3. რას ეწოდება საჯარო სამართალი?
4. რა წამოადგენს სამოქალაქო სამართლის ძირითად საფუძველს?
5. რას ეწოდება «კერძო ავტონომია»?
6. როგორ გესმით დეფინიცია «სახელშეკრულებო თვითშეზღვევა»?
7. ერთმანეთისაგან განასხვავეთ «კანონი ფორმალური გაგებით» და «კანონი მატერიალური გაგებით»?
8. სამოქალაქო კოდექსის რომელი მუხლით მიენიჭება საქართველოს სამოქალაქო კოდექსს «კანონთა კანონის» სტატუსი?
9. რას არეგულირებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსი?
10. რა არის ძირითადი განსხვავება კონტინენტური ევროპის სამართალსა და ინგლისურ-ამერიკულ სამართალს შორის?
11. რას წარმოადგენს სამართლის წყაროები?
12. რას უწოდებენ კანონს?
13. როდის უკავია ჩვეულებას სამართლის წყაროს ადგილი თანამედროვე სამართლებრივ სისტემებში და აღიარა თუ არა იგი საქართველოს სამოქალაქო კოდექსმა სამართლის წყაროდ?
14. რაში მდგომარეობს სასამართლო პრეცედენტის, როგორც სამართლის წყაროს არსი?
15. განმარტეთ პოზიტიური სამართალი?
16. როდიდან შედის ძალაში კანონი და კანონქვემდებარე აქტები?
17. როდის კარგავს კანონი ძალას?

18. აუქმებს თუ არა ზოგადი ხასიათის კანონი სპეციალურ კანონს?
19. რას ეწოდება სასამართლო სამართალშემოქმედება და სამოსამართლო სამართალი?
20. რას ნიშნავს კანონის განმარტება?
21. რას ნიშნავს კანონის ანალოგია?
22. რას ნიშნავს სამართლის ანალოგია?
23. შეიძლება თუ არა საგამონაკლისი ნორმები გამოყენებულ იქნეს ანალოგიით?
24. აქვს თუ არა კანონებსა და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებს უკუქცევითი ძალა?
25. რა შეიძლება იყოს კერძო სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტი?
26. ჩამოთვალეთ კერძო სამართლის სუბიექტი?
27. შეზღუდულია თუ არა სამოქალაქო სამართლის სუბიექტების კანონით პირდაპირ გათვალისწინებული ქმედებები?

ტესტი:

28. კერძო სამართლის იურიდიულმა პირმა განახორციელა კანონით აუკრძალავი ის საქმიანობა, რომელიც წესდებით არ ჰქონდა გათვალისწინებული.

ჰქონდა თუ არა მას ამ საქმიანობის განხორციელების უფლება?

- ა) არ ჰქონდა, რადგან კერძო სამართლის იურიდიულ პირს უფლება აქვს განახორციელოს მხოლოდ წესდებით გათვალისწინებული საქმიანობა;
- ბ) ჰქონდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი მხოლოდ ერთხელ განხორციელდა;
- გ) არ ჰქონდა, რამეთუ იურიდიულმა პირმა თავისი საკუთარი ქონება შეიძლება მხოლოდ წესდებაში გათვალისწინებულ მიზნების მისაღწევად გამოიყენოს;
- დ) ჰქონდა, ვინაიდან მას უფლება აქვს განახორციელოს კანონით აუკრძალავი ნებისმიერი საქმიანობა, მიუხედავად იმისა, რომ თუ არა ეს საქმიანობა წესდებაში გათვალისწინებული.

29. ჩამოთვლილთაგან რომელი მსჯელობაა სწორი?

- ა) ყველა კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობების მოსაწესრიგებლად;

- ბ) მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ კონკრეტულად კანონშია მითითებული მისი გამოყენება;
- გ) არცერთ შემთხვევაში;
- დ) სამოქალაქო ურთიერთობების მოსაწესრიგლებლად კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები გამოიყენება მხოლოდ მაშინ, თუ ისინი ავსებენ კანონის ნორმებს. თუ ეს აქტები ეწინააღმდეგება კანონს, მოქმედებს კანონი.

30. კანონს უკუმაღლა არა აქვს:

- ა) თუ ის არ ამსუბუქებს ან არ აუქმებს პირის პასუხისმგებლობას;
- ბ) არცერთი პასუხი არ არის სწორი;
- გ) თუ ის არ ამძიმებს ან არ ადგენს პასუხისმგებლობას;
- დ) თუ ის არ ითვალისწინებს შეცვლილ გარემოებებს.

პასუხები:

1. რომის სამართლის ეპოქიდან კონტინენტური ევროპის იურიდიული მეცნიერება სამართალს კერძო და საჯარო სამართლად ჰყოფს.
2. სამართლის იმ ნაწილს, რომელიც ინდივიდებს შორის წარმოშობილ ურთიერთობებს აწესრიგებს, კერძო სამართალი ეწოდება.
3. სახელმწიფო ორგანოთა მიერ საჯარო ხელისუფლების აღსრულების პროცესში წარმოქმნილ ურთიერთობათა მარეგულირებელ სამართალს, საჯარო სამართალი ეწოდება.
4. სამოქალაქო სამართლის ერთ-ერთ ძიორითად საფუძველს თავისუფლება წარმოადგენს.
5. კერძო ავტონომია ეწოდება კონკრეტულ პირთათვის სამართლით მინიჭებულ და უზრუნველყოფილ შესაძლებლობას ერთმანეთს შორის ურთიერთობა განსაზღვრული ფარგლების შიგნით მოაწესრიგონ გარიგების, განსაკუთრებით ხელშეკრულების მეშვეობით.
6. ხელშეკრულების დადებით ხელშეკრულების მონაწილეები ნებაყოფლობით და ორმხრივად კისრულობენ ამა თუ იმ ვალდებულების შესრულებას და ამით ისინი

საკუთარი თავისუფლების ფარგლებს იბოჭავენ, რასაც სახელმწიფო თვითშეზღვევა ეწოდება.

7. ფორმალური გაგებით კანონათ მიიჩნევა მხოლოდ პარლამენტის (ხალხის მიერ არჩეული საკანონმდებლო ორგანოს), ან რეფერენდუმის გზით მიღებული ნორმატიული აქტები; მატერიალური გაგებით კანონად ჩაითვლება ყველა ნორმატიული აქტი, მათ შორის საკუთრივ კანონიც, რომლებიც სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოების მიერაა მიღებული. ამ გაგებით ერთმანეთისაგან განსხვავდება კანონები და კანონქვემდებარე აქტები.
8. სამოქალაქო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის მე-2 აბზაცის თანახმად, სამოქალაქო კოდექსს კანონთა კანონის სტატუსი მიენიჭა. ამ ნორმის მიხედვით, ყველა კანონი სამოქალაქო სამართლის სფეროში უნდა შეესაბამებოდეს სამოქალაქო კოდექსს.
9. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი არეგულირებს პირთა თანასწორობაზე დამყარებულ კერძო ხასიათის ქონებრივ, საოჯახო და პირად ურთიერთობებს.
10. კონტინენტური ევროპის სამართალსა და ინგლისურ-ამერიკულ სამართალს შორის განსხვავება ყველაზე თვალსაჩინოთ ჩანს სამართლის წყაროებში. კერძოდ: ინგლისურ-ამერიკული სამართლის წყაროებს წარმოადგენს სამოსამართლო სამართალი («Ga se law») და კანონის სამართალი («Statute la»), ანუ სამართლის ძირითადი წყაროა სამოსამართლო, ანუ როგორც მას უწოდებენ პრეცედენტული სამართალი. კონტინენტური ევროპის სამართლის ძირითად წყაროს კი კოდიფიცირებული აქტები (მაგ: სამოქალაქო კოდექსი) წარმოადგენენ.
11. სამართლის წყაროები წარმოადგენენ იმ სპეციფიკურ ფორმებს, რომლებშიც სახელმწიფო ხელისუფლება გამოხატავს სამართლებრივ ნორმებს.
12. კანონს უწოდებენ სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს მიერ განსაკუთრებული წესით მიღებულ ნორმატიულ აქტს, რომელიც შეეხება ქვეყნის საშინაო ცხოვრებისა და საგარეო ურთიერთობის უმნიშვნელოვანეს საკითხებს.
13. ჩვეულებას (ადათს) როგორც სამართლის წყაროს, შედარებით უმნიშვნელო ადგილი უკავია თანამედროვე სამართლებრივ სისტემებში. სამართლის წყაროს როლს იგი ასრულებს იმ გამონაკლის შემთხვევაში, როდესაც აუცილებელია მისი სანქციონირება სახელმწიფოს მიერ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსმა ჩვეულებანი სამართლის წყაროდ აღიარა. იმავდროულად მათი შინაარსი დაწერილი სამართლის ფარგლებში

მოაქცია. კერძოდ, მე-2 მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, სამართლისა და ზნეობის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებს ან საჯარო წესრიგს.

14. სასამართლო პრეცედენტის, როგორც სამართლის წყაროს არსი მდგომარეობს იმაში, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებას ყოველ კონკრეტულ საქმეზე ნორმატიული ხასიათი მიანიჭოს. სასამართლოსათვის ყველა გადაწყვეტილება და განაჩენი არ არის სავალდებულო. სავალდებულოა მხოლოდ საქმის «შუაგული», სამართლებრივი პოზიციის არსი, რომლის საფუძველზე გამოიტანება გადაწყვეტილება.
15. პოზიტიური სამართალი, ანუ კანონმდებლობა, როგორც სამართლის წყარო, არის სახელმწიფო ორგანოების მიერ დადგენილი ზაგადსავალდებულო ქცევის წესების ერთობლიობა, რომელიც აწესრიგებს საზოგადოებრივ ურთიერთობათა ჯგუფს მასში მონაწილე პირების უფლება-მოვალეობათა აღიარება-გამიჯვნის გზით და რომელთა დაცვა მათი დარღვევის შემთხვევაში უზრუნველყოფილია სახელმწიფო იძულებით.
16. კანონი და კანონქვემდებარე აქტები ძალაში შედიან მხოლოდ დადგენილი წესით ოფიციალურ ორგანოში საყოველთაო გაცნობისათვის მათი გამოქვეყნების შემდეგ.
17. კანონი კარგავს ძალას, თუ ამის შესახებ პირდაპირ უთითებს ახალი კანონი, ან ძველი ეწინააღმდეგება ახალს, ან ახალი კანონი მოიცავს ძველით მოწესრიგებულ ურთიერთობებს, ანდა თუ აღარ არსებობს ის ურთიერთობა, რომელსაც აწესრიგებდა კანონი.
18. ზოგადი ხასიათის კანონი არ აუქმებს სპეციალურ კანონს, თუ ამგვარი გაუქმება არ წარმოადგენს კანონმდებლის პირდაპირ მიზანს.
19. კონკრეტული შემთხვევების გადაწყვეტის დროს კანონის საფუძველზე მისი ცალკეული ნორმების კომენტირების შედეგად მოსამართლის მიერ ქცევის ახალი წესების ჩამოყალიბებას სამოსამართლო სამართალშემოქმედება ეწოდება, ხოლო ამ გზით მიღებულ სამართლის ნორმათა ერთობლიობას სამოსამართლო სამართალი.
20. კანონის განმარტება ნიშნავს კანონის ბუნდოვანი ადგილების დაზუსტებას, ტექსტის მნიშვნელობის დადგენას.
21. კანონში პირდაპირ გაუთვალისწინებელი ურთიერთობების მოსაწესრიგებლად გამოიყენება ყველაზე უფრო მსგავსი ურთიერთობების მარეგულირებელი სამართლის ნორმა (კანონის ანალოგია).
22. სამართლის ანალოგია ნიშნავს თუ კანონის ანალოგიის გამოყენება შეუძლებელია, ურთიერთობა უნდა მოწესრიგდეს სამართლის ზოგადი პრინციპების საფუძველზე,

აგრეთვე სამართლიანობის, კეთილსინდისიერებისა და ზნეობის მოთხოვნათა შესაბამისად (სამართლის ანალოგია).

23. სპეციალური ურთიერთობების მომწესრიგებელი ნორმები (გამონაკლისი ნორმები) არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ანალოგიით.
24. კანონებსა და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებს არა აქვთ უკუქცევითი ძალა, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ეს პირდაპირ არის კანონით გათვალისწინებული. არ შეიძლება კანონს მიეცეს უკუქცევითი ძალა, თუ იგი ზიანის მომტანია ან აუარესებს პირის მდგომარეობას.
25. კერძო სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტი შეიძლება იყოს ქონებრივი ან არაქონებრივი მატერიალური და არამატერიალური სიკეთე, რომელიც კანონით დადგენილი წესით ბრუნვიდან არ არის ამოღებული.
26. კერძო სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი შეიძლება იყოს ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი. ეს წესი გამოიყენება როგორც სამეწარმეო, ასევე არასამეწარმეო, საქართველოსა და სხვა ქვეყნის პირების მიმართ.
27. სამოქალაქო ურთიერთობის მონაწილეებს შეუძლიათ განახორციელონ კანონით აუკრძალავი, მათ შორის კანონით პირდაპირ გაუთვალისწინებელი ნებისმიერი მოქმედება.
28. დ-ვარიანტი
29. დ-ვარიანტი
30. ა-ვარიანტი

პირები სამოქალაქო სამართალში

კითხვები:

1. როდის წარმოიშობა ფიზიკური პირის უფლებაუნარიანობა?
2. როდის წარმოიშობა ფიზიკური პირის მემკვიდრედ ყოფნის უფლება და რომელ იურიდიულ ფაქტანაა დაკავშირებული ამ უფლების რეალიზება?
3. როდის უწყდება ფიზიკურ პირს უფლებაუნარიანობა?
4. რომელი სამართალი არ იცნობს უფლებაუნარიანობის ცნებას?
5. სამოქალაქო უფლებათა განხორციელება დამოკიდებულია თუ არა პოლიტიკურ უფლებებზე?
6. როდის წარმოიშობა ფიზიკური პირის ქმედუნარიანობა?
7. განასხვავეთ ტერმინები: «უფლებაუნარიანობა» და «უფლება»?
8. განმარტრეთ ემანსიპაციის ინსტიტუტის არსი.
9. რა შემთხვევაში დაიშვება ქმედუნარიანობის შეზღუდვა?
10. ვის ენიშნება მეურვე და მზრუნველი?
11. ვის ენიშნება მზრუნველი?
12. რა იგულისხმება ფიზიკური პირის სახელის ქვეშ?
13. რომელი ნორმატიული აქტით რეგულირდება «სამოქალაქო სახელის» შეცვლა?
14. სამოქალაქო სახელის შეცვლით წყდება თუ არა ფიზიკური პირის მიერ ადრე დადებული ქონებრივი ურთიერთობები სხვა პირებთან?
15. სახელის შექმნის რა საფუძვლებს იცნობს კანონმდებლობა?
16. რა შედის «პირადი არაქონებრივი უფლებების» ცნებაში?
17. რომელი ორგანოს მეშვეობით აქვს პირს უფლება დაიცვას თავისი არაქონებრივი უფლებები?
18. რა იგულისხმება ფიზიკური პირის გამოსახულების ქვეშ?
19. რა იგულისხმება პირადი არაქონებრივი უფლებების ხელყოფით მიყენებული ქონებრივი ზიანის ანაზღაურების საფუძველში?
20. რა იგულისხმება «მორალური ზიანის» ქვეშ?

21. რა ფუნქციები აკისრია მორალური ზიანის ანაზღაურებას?
22. თუ პირის გარდაცვალების შემდეგ იმ პირებს, რომლებიც თუმცა არ არიან თვითონ სახელის ან პირადი ღირსების უფლების მატარებელი, მაგრამ საამისოდ დაცვის ღირსი ინტერესი გააჩნიათ, შეუძლიათ თუ არა გარდაცვლილის სახელის დაცვასთან ერთად ქონებრივი ანაზღაურებაც მოითხოვონ?
23. რომელი ადგილი მიიჩნევა ფიზიკური პირის საცხოვრებელ ადგილად?
24. არასრულწლოვნების და სამეურვეო პირის საცხოვრებელ ადგილად რომელი ადგილი მიიჩნევა?
25. წარმოშობს თუ არა საპოლიციო რეგისტრაცია, ან აღრიცხვა პირის საცხოვრებელ ადგილს?
26. შეიძლება თუ არა პირს საქართველოს სამოქალაქო კოდექსით ჰქონდეს რამდენიმე საცხოვრებელი ადგილი?
27. რა გარემოებების არსებობით უნდა მოხდეს პირის უგზოუკვლოდ დაკარგულად აღიარება?
28. რა ბედი ელის უგზოუკვლოდ დაკარგულის ქონებას?
29. როდიდან შეიძლება გამოცხადდეს პირი გარდაცვლილად?
30. რომელი დღე მიიჩნევა პირის გარდაცვალებულად გამოცხადების დღედ?
31. რა შედეგი მოჰყვება გარდაცვლილად გამოცხადებულის დაბრუნებას?
32. ჩამოთვალეთ იურიდიული პირის ნიშნები
33. როგორი შეიძლება იყოს იურიდიული პირები?
34. შეზღუდულია თუ არა კერძო სამართლის იურიდიული პირის უფლებაუნარიანობა?

ტესტი:

35. რომელი აქტით არ შეიძლება ფიზიკურ პირს შეეზღუდოს ქმედუნარიანობა?
 - ა) საქართველოს კანონით;
 - ბ) სასამართლოს გადაწყვეტილებით;
 - გ) გარიგებით;
 - დ) საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტით.

36. თუ პირის პატივის, ღირსების საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ცნობები გავრცელებულია მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით, როგორ უნდა მოხდეს მათი უარყოფა?

- ა) ომბუდსმენის მეშვეობით;
- ბ) სასამართლოს მეშვეობით-პირის ღირსების შემლახველი ცნობების უარყოფით;
- გ) დამარდამცავი ორგანოს მეშვეობით;
- დ) იმავე მასობრივი ინფორმაციის საშუალებით.

37. მამამ მიმართა სასამართლოს იმ მოთხოვნით, რომ ვინაიდან მისი 30 წლის ვაჟი სისტემატურად ბოროტად იყენებდა ნარკოტიკს, ამ საფუძვლით იგი სასამართლოს ელიარებინა შეზღუდულქმედუნარიანად.

აღიარებს თუ არა სასამართლო პირს შეზღუდულქმედუნარიანად?

- ა) არ აღიარებს, რადგან 30 წელს მიღწეული ფიზიკური პირის შეზღუდულქმედუნარიანად აღიარება დაუშველია;
- ბ) აღიარებს ყველა შემთხვევაში, ვინაიდან მოთხოვნა კანონიერმა წარმომადგენელმა დააყენა;
- გ) არ აღიარებს, რამეთუ ნარკოტიკის სისტემატურად ბოროტად გამოყენება საკმარისი არ არის პირის ქმედუნარიანობის შეზღუდვისათვის, თუ ამის გამო იგი თავის ოჯახს მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში არ აყენებს;
- დ) აღიარებს, თუ შვილის მიერ ნარკოტიკის სისტემატური მიღება ოჯახს მძიმე მატერიალურ ზარალს აყენებს.

38. კერძო სამართლის იურიდიულმა პირმა განახორციელა კანონით აუკრძალავი საქმიანობა, რომელიც წესდებით არ იყო გათვალისწინებული.

ჰქონდა თუ არა მას ამ საქმიანობის განხორციელების უფლება?

- ა) ჰქონდა, ვინაიდან მას უფლება აქვს განახორციელოს კანონით აუკრძალავი ნებისმიერი საქმიანობა, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს საქმიანობა წესდებაში გათვალისწინებული;
- ბ) არ ჰქონდა, რამეთუ კერძო სამართლის იურიდიულ პირს უფლება აქვს განახორციელოს მხოლოდ წესდებით გათვალისწინებული საქმიანობა;
- გ) ჰქონდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი მხოლოდ ერთხელ განხორციელდა;
- დ) არ, რამეთუ იურიდიულმა პირმა თავისი საკუთარი ქონება შეიძლება მხოლოდ წესდებით გათვალისწინებული მიზნების შესაბამისად გამოიყენოს.

39. არასამეწარმეო იურიდიულ პირს შეუძლია თუ არა ეწეოდეს სამეწარმეო საქმიანობას?

- ა) შეუძლია, თუ იქნება ამაზე დამფუძნებლის თანხმობა;
- ბ) შეუძლია, თუ სადამფუძნებლო დოკუმენტებში იქნება ამაზე მითითება;
- გ) არც ერთ შემთხვევაში არ შეუძლია;
- დ) არ შეუძლია, რადგან ასეთ შემთხვევას კანონი არ ითვალისწინებს.

40. შეიძლება თუ არა ფიზიკური პირის სახელის შეცვლა?

- ა) არ შეიძლება
- ბ) მოქმედი სამოქალაქო კანონმდებლობა არ ითვალისწინებს სახელის შეცვლას;
- გ) სახელის შეცვლა დასაშვებია. ამისათვის საჭიროა პირის დასაბუთებული განცხადება სახელის შეცვლის შესახებ, რომელიც დადგენილი წესით უნდა განიხილოს სათანადო ორგანომ;
- დ) სამოქალაქო კოდექსის მე-17 მუხლი კრძალავს სახელის შეცვლას;

41. ვინ ითვლება მცირეწლოვნად პირად სამოქალაქო სამართლის კოდექსის მიხედვით?

- ა) 8 წლამდე ასაკის პირი;
- ბ) 10 წლამდე ასაკის პირი;
- გ) 7 წლამდე ასაკის პირი;
- დ) 6 წლამდე ასაკის პირი.

42. ჩამოთვლილთაგან რომელი მსჯელობაა სწორი?

მემკვიდრეობის უფლება წარმოიშობა?

- ა) სრულწლოვნების მიღწევიდან;
- ბ) 10 წლის ასაკის მიღწევიდან;
- გ) მემკვიდრედ ყოფნის უფლება წარმოიშობა ჩასახვისთანავე;
- დ) 7 წლის ასაკის მიღწევიდან.

43. მოქ. ი. მიქელაძე უგზო-უკვლოდ დაიკარგა აფხაზეთის კონფლიქტში საომარი მოქმედებების განხორციელების დროს. ი. მიქელაძის მემკვიდრეების მოთხოვნით, სასამართლომ იგი გარდაცვლილად გამოაცხადა:

- ა) მისი უგზო-უკვლოდ დაკარგვის მომენტიდან ორი წლის გასვლის შემდეგ;
- ბ) საომარი მოქმედებების დამთავრების დღიდან ხუთი თვის გასვლის შემდეგ;
- გ) საომარი მოქმედებების დამთავრების დღიდან ორი წლის გასვლის შემდეგ;
- დ) საომარი მოქმედებების დამთავრების მომენტიდან.

44. მოქალაქე ა. აბესაძის არასრულწლოვანი ბავშვის მეურვედ დანიშნას ხელს უშლის გარკვეული დამაბრკოლებელი გარემოებანი. მეურვედ ან მზრუნველად არ შეიძლება დაინიშნოს:

- ა) მეუღლესთან განქორწინებული პირი;
- ბ) პირი, რომლის ქმედუნარიანობა სრულად აღდგენილია სასამართლოს მიერ;
- გ) მოქალაქეობის არმქონე პირი;
- დ) მშვილბელი, თუ შვილად აყვანა გაუქმდა იმის გამო, რომ იგი ჯეროვნად არ ასრულებდა მშვილბლის მოვალეობას.

45. იურიდიული პირის პირის ლიკვიდაცია ხდება:

- ა) ლიკვიდაციის დამთავრების შესახებ რეგისტრაციის მომენტიდან;
- ბ) ლიკვიდაციის შესახებ საერთო კრებაზე გადაწყვეტილების მიღების მომენტიდან;
- გ) ლიკვიდაციის შესახებ განცხადების შეტანის დღიდან;
- დ) იურიდიული პირის ლიკვიდაცია ხდება წესდებით განსაზღვრულ შემთხვევებში, მიზნის მიღწევის შედეგად, გაკოტრების ან რეგისტრაციის გაუქმებისას.

46. იურიდიული პირის ლიკვიდაცის შემდეგ ქონების განაწილება დასაშვებია:

- ა) საერთო კრების გადაწყვეტილებით;
- ბ) ლიკვიდაციიდან 6 თვის გასვლის შემდეგ;
- გ) ლიკვიდაციიდან ერთი თვის შემდეგ;
- დ) პარტნიორთა გადაწყვეტილებით.

47. არასამეწარმეო იურიდიული პირის მმართველობის ორგანოებია:

- ა) ამხანაგობა, საერთო კრება;
- ბ) მხოლოდ საერთო კრება;
- გ) პარტნიორთა გადაწყვეტილება;
- დ) არცერთი პასუხი სწორი არ არის.

48. ფიზიკური პირის ქმედუნარიანობა წარმოიშობა:

- ა) 8 წლის ასაკიდან;
- ბ) სრულწლოვანების მიღწევისთანავე;
- გ) უფლებაუნარიანობის მიღწევის მომენტიდან;
- დ) სასამართლოს მიერ ქმედუნარიანად ცნობის შესახებ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის მომენტიდან.

49. სასამართლოს მიერ პირის გარდაცვლილად გამოცხადების შემთხვევაში მისი გარდაცვალების დღედ ითვლება:

- ა) სასამართლოში დაინტერესებული პირის მიერ შესაბამისი განცხადების შეტანის დღე;
- ბ) გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დღე;
- გ) სამოქალაქო რეესტრის მწარმოებელ ტერიტორიულ ორგანოში პირის გარდაცვალების რეგისტრაციის დღე;
- დ) გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანის დღე.

50. არასრულწლოვანმა ა. ბაღათურმა სარჩელი შეიტანა გ. ბერიძის მიმართ განქორწინების შესახებ, იმ მოტივით, რომ იგი ვერ შეეწყო ასაკით მასზე გაცილებით უფროსს მეუღლეს – გ. ბერიძეს. სასამართლომ ბაღათურის სარჩელი არ მიღო, ჩათვალა რა, რომ იგი აღძრულია ქმედუნარო პირის მიერ.

სწორი გადაწყვეტილება მიიღო სასამართლომ?

- ა) დიახ, ისევე როგორც დაქორწინებისას, განქორწინებაზე სარჩელის აღძვრის შემთხვევაში 16 წლის ასაკიდან პირს სჭირდება მშობლის ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის წინასწარი თანხმობა;
- ბ) დიახ, რადგან საპროცესო ქმედუნარიანობა სრული მოცულობით წარმოიშობა სრულწლოვანების, ე.ი. 18 წლის მიღწევის შემდეგ;
- გ) არა, ქმედუნარიანად ითვლება პირი, რომელიც იქორწინებს თვრამეტი წლის ასაკის მიღწევიდან;
- დ) არცერთი პასუხი არ არის სწორი.

51. თუ პირის პატივის, ღირსების, საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ცნობები გავრცელებულია მასობრივი ინფორმაციის საშუალებით, როგორ უნდა მოხდეს მათი უარყოფა?

ა) სამართალდამცავი ორგანოების მეშვეობით;

ბ) სასამართლოს მეშვეობით – პირის ღირსების შემნახველი ცნობების უარყოფით;

გ) იმავე მასობრივი ინფორმაციის საშუალებით;

დ) ომბუდსმენის მეშვეობით.

52. პირის გარდაცვალების შემდეგ აღმოჩნდა მის მიერ შედგენილი ანდერძი, რომლითაც მთელი თავისი ქონება უანდერძა დისშვილს, რომელიც მოანდერძის გარდაცვალების მომენტისათვის ჩასახული იყო. ნაყოფი ცოცხალი არ დაიბადა. დედამ ანდერძით გათვალისწინებული ქონება მოითხოვა, რადგან მიაჩნდა, რომ ეს ქონება ჩასახულის საკუთრება იყო.

რამდენად კანონიერია დედის მოთხოვნა?

ა) მოთხოვნა უკანონოა, რადგან ჩასახული არ შეიძლება მემკვიდრე იყოს;

ბ) მოთხოვნა უკანონოა, რადგან ჩასახული მხოლოდ მამის მემკვიდრეა;

გ) მოთხოვნა კანონიერია, რადგან დედა შვილის მემკვიდრეა;

დ) მოთხოვნა არ არის კანონიერი, რადგან ჩასახულის მემკვიდრედ ყოფნის უფლება დამოკიდებულია დაბადებაზე.

53. საჯარო სამართლის იურიდიული პირები:

ა) სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობებში არ მონაწილეობენ;

ბ) სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილეობენ ისევე, როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირები;

გ) მონაწილეობენ მხოლოდ კორპორაციულ პირებთან ურთიერთობისას;

დ) მონაწილეობენ მხოლოდ რეგისტრაციის შემდეგ.

54. იურიდიული პირის ადგილსამყოფლად ითვლება

ა) მისი ადმინისტრაციის მდებარეობის ადგილი;

ბ) ფილიალის მდებარეობის ადგილი;

გ) იურიდიული პირის ადგილი განისაზღვრება იუსტიციის მინისტრის ბრძანებით;

დ) იურიდიული პირის ადგილს ადგენს ხელმძღვანელობაზე წარმოდგენილი პირები.

55. არასამეწარმეო იურიდიული პირის სახელწოდება:

ა) შეიძლება ემთხვეოდეს სხვა არასამეწარმეო იურიდიული პირის სახელწოდებას;

ბ) შეიძლება ემთხვეოდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახელწოდებას;

გ) შეიძლება ემთხვეოდეს კომერციული იურიდიული პირის სახელწოდებას;

დ) არ შეიძლება ემთხვეოდეს უკვე რეგისტრირებული არასამეწარმეო იურიდიული პირის სახელწოდებას.

56. აკრძალულია თუ არა ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების განაწილება არასამეწარმეო იურიდიული პირის დამფუძნებლებს, წევრებს, ხელმძღვანელებსა და წარმომადგენლობითი უფლების მქონე პირებს შორის?

ა) დაიშვება იუსტიციის მინისტრის ბრძანებით;

ბ) დაიშვება არაკომერციული იურიდიული პირის ხელმძღვანელობის უფლების მქონე პირების გადაწყვეტილებით;

გ) აკრძალულია ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების განაწილება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებლებს, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირებს შორის;

დ) აკრძალულია, რადგან წესდება ამას ეწინააღმდეგება.

პასუხები:

1. ფიზიკური პირის უფლებაუნარიანობა - უნარი ჰქონდეს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები, წარმოიშობა დაბადების მომენტიდან.
2. მემკვიდრედ ყიფნის უფლება წარმოიშობა ჩასახვისთანავე; ამ უფლების განხორციელება კი დამოკიდებულია დაბადებაზე.
3. ფიზიკურ პირს უფლებაუნარიანობს უწყდება გარდაცვალებით, ხოლო გარდაცვალების მომენტიდან ითვლება თავის ტვინის ფუნქციონირების შეწყვეტა.
4. ინგლისურ – ამერიკული სამართალი არ იცნობს უფლებაუნარიანობის ცნებას. ინგლისური სამართალი იცნობს მხოლოდ უფლებაუნარიან და ქმედუნარიან პირებს.

5. სამოქალაქო კოდექსის მე-10 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, «სამოქალაქო უფლებათა განხორციელება არ არის დამოკიდებული პოლიტიკურ უფლებებზე».
6. ფიზიკური პირის უნარი, თავისი ნებითა და მოქმედებით სრული მოცულობით განახორციელოს თავისი უფლებები და მოვალეობები (ქმედუნარიანობა), წარმოიშობა სრულწლოვანების მიღწევისთანავე.
7. უფლებაუნარიანობა აქვს ყველას, ე.ი. ყველას აქვს უნარი ჰქონდეს სამოქალაქო უფლებები და იკისროს სამოქალაქო მოვალეობები; უფლება კი უზრუნველყოფს კანონით მინიჭებულ ადამიანის იმ ინტერესებს, რომლებიც დამოკიდებულია პირის სამართლებრივად დაცული ინტერესების ობიექტი.
8. ასაკის მიხედვით ქმედუნარიანობის განხილვისას მნიშვნელოვანია ემანსიპაციის ინსტიტუტი. ეს ის შემთხვევაა, როცა პირს მართალია, ჯერ არ მიუღწევია სრულწლოვანების ასაკამდე, მაგრამ განსაზღვრული პირობების არსებობისას სამართალი მას უთანაბრებს სრულწლოვან პირებს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ასეთ ორ პირობას ითვალისწინებს, პირველი, როცა თვრამეტი წლის ასაკს მიუღწეველი პირი იქორწინებს (მე-12 მუხლი მე-3 ნაწილი); სამოქალაქო კოდექსის 1108-ე მუხლის მიხედვით საქორწინო ასაკად დაწესებულია 18 წელი, მაგრამ გამონაკლის შემთხვევებში დაქორწინება დაიშვება თექვსმეტი წლის ასაკიდან. მეორე შემთხვევას ემანსიპაციის ითვალისწინებს სამოქალაქო კოდექსის 65-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის მიხედვით, თექვსმეტი წლის ასაკს მიღწეული არასრულწლოვანი შეიძლება მიჩნეულ იქნეს შეუზღუდავ ქმედუნარიანად, თუკი კანონიერი წარმომადგენელი მას მიენიჭება საწარმოს დამოუკიდებლად გაძღოლის უფლებას.
9. ქმედუნარიანობის შეზღუდვა დაიშვება მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში (მე-13 მუხლის პირველი წინადადება). ასეთ შემთხვევებს სამოქალაქო კოდექსი ამომწურავად განსაზღვრავს: ა. შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე არასრულწლოვანი შვიდიდან თვრამეტი წლის ასაკამდე; ბ. შეზღუდულ ქმედუნარიანად მიიჩნევა ასევე პირი, რომელიც ბოროტად იყენებს ალკოჰოლს ან ნარკოტიკულ ნივთიერებებს და ამის გამო თავის ოჯახს მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში აყენებს, რის გამოც სასამართლო მას შეუზღუდავს ქმედუნარიანობას. აქვე ავლნიშნავთ, რომ მართალია, 65-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული არასრულწლოვანის ემანსიპაცია საწარმოს საქმიანობის სფეროში ითვალისწინებს სრულ ქმედუნარიანად მიჩნევას, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ სხვა სფეროებში პირი ქმედუნარიანია.

10. შვიდ წლამდე ასაკის არასრულწლოვნებს და პირებს, რომლებიც ჭკუასუსტობის ან სულით ავადმყოფის გამო სასამართლოს მიერ ასეთად იქნებიან აღიარებული.
11. სასამართლოს მიერ მზრუნველობა შეიძლება დაუწესდეს შვიდიდან თვრამეტი წლის ასაკამდე არასრულწლოვნებს და სრულწლოვან პირებს, რომლებიც ბოროტად იყენებენ ალკოჰოლს ან ნარკოტიკულ ნივთიერებებს და ამის გამო თავის ოჯახს მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში აყენებენ.
12. ფიზიკური პირის სახელის ქვეშ იგულისხმება ადამიანის საკუთარი სახელი და გვარი.
13. სახელის შეცვლა რეგულირდება «სამოქალაქო მდგომარეობის აქტების რეგისტრაციის შესახებ» საქართველოს კანონით დადგენილი წესით.
14. საკუთარი სახელის ან გვარის შეცვლა არ წარმოადგენს იმ ქონებრივ ურთიერთობების შეცვლის ან შეწყვეტის საფუძველს, რომლებიც მოცემული ფიზიკური პირის მონაწილეობით სახელის შეცვლამდე წარმოიშობა.
15. სახელის შექმნის ყველაზე გავრცელებულ საფუძველს წარმოადგენს დაბადება; მეორე მნიშვნელოვანი საფუძველი დაქორწინებაა. სახელის ნებაყოფლობითი შეცვლა სახელის შექმნის ერთ-ერთი საფუძველია.
16. პირადი არაქონებრივი უფლებების ცნებაში სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მეორე ნაწილის თანახმად შედის: პატივი, ღირსება, პირადი ცხოვრების საიდუმლოება, პირადი ხელშეუხებლობა, საქმიანი რეპუტაცია.
17. პირს უფლება აქვს სასამართლოს მეშვეობით, კანონით დადგენილი წესით დაიცვას საკუთარი პატივი, ღირსება, პირადი ცხოვრების საიდუმლოება, პირადი ხელშეუხებლობა ან საქმიანი რეპუტაცია.
18. «ფიზიკური პირის გამოსახულების ქვეშ» იგულისხმება მხატვრული პორტრეტი, ფოტოსურათი, ინდივიდის გამოსახულება კინოფილმში, ტელეგადაცემაში თუ ვიდეოფილმში, სადაც მისი გარეგნული იერის შეცნობა შეიძლება.
19. პირადი არაქონებრივი უფლებების ხელყოფით მიყენებული ქონებრივი ზიანის ანაზღაურების საფუძველს წარმოადგენს: ა) თავად ქონებრივი ზიანის არსებობა; ბ) მართლსაწინააღმდეგო მოქმედება, რომლითაც ხდება პირადი არაქონებრივი უფლებების ხელყოფა; გ) მიზეზობრივი კავშირი მართლსაწინააღმდეგო ქმედებისა და დამდგარ ქონებრივ ზიანს შორის; დ) ხელმყოფი პირის ბრალი.
20. მორალური ზიანის ქვეშ უნდა ვიგულისხმოთ სამართლებრივად დაცული იმ არაქონებრივი ინტერესების ხელყოფა, რომელსაც ქონებრივი ექვივალენტი არ გააჩნია და

იგი შეიძლება სხვადასხვა სიმძიმის იყოს, დაწყებული მორალური დარღვევებით, რომლებიც თავს ატყდება ადამიანს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მაგრამ არ ბღალავს მისი სირცხვილის გრძნობას, დამთავრებული სულიერი ტკივილებით, რომლებიც შესაძლოა მისი ფიზიკური დაუძლურების ან ფსიქიკური აშლილობის საფუძველი შეიქმნას.

21. მორალური ზიანის ანაზღაურებას აკისრია სამი ფუნქცია: პირველი – სატისფაქციური (დააკმაყოფილოს დაზარალებული), მეორე – რეპრესიული (ზემოქმედება მოახდინოს ზიანის მიმყენებელზე) და მესამე – პრევენციული (თავიდან აიცილოს პიროვნული უფლებების დარღვევა და სხვა პირების მიერ).
22. პირებს, რომლებიც თვითონ არ არიან სახელის ან პირადი ღირსების მატარებელი, მაგრამ საამისოდ აქეთ დაცვის ღირსი ინტერესი, შეუძლიათ გარდაცვლილის სახელისა და ღირსების ისეთი დაცვის მოთხოვნა განახორციელონ, რომელიც პიროვნების არსების განმსაზღვრელია და სიკვდილის შემდეგაც გრძელდება. სახელის, პატივის, ღირსების ან საქმიანი რეპუტაციის შელახვისათვის მორალური ზიანის ქონებრივი ანაზღაურების მოთხოვნა სიკვდილის შემდეგ დაუშვებელია.
23. ფიზიკური პირის საცხოვრებელ ადგილად მიიჩნევა ადგილი, რომელსაც იგი ჩვეულებრივ საცხოვრებლად ირჩევს.
24. არასრულწლოვნების საცხოვრებელ ადგილად ითვლება მშობლის უფლების მქონე მშობლების საცხოვრებელი ადგილი, ხოლო სამეურვეო პირისა, მეურვის საცხოვრებელი ადგილი.
25. საპოლიციო რეგისტრაცია თუ აღრიცხვა პირის საცხოვრებელ ადგილს არ წარმოშობს და არც აუქმებს.
26. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-20 მუხლის 1-ლი ნაწილის მეორე წინადადების თანახმად, პირს შეიძლება ქონდეს რამდენიმე საცხოვრებელი ადგილი».
27. უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება უნდა მოხდეს ორი გარემოების არსებობისას: პირის ადგილსამყოფელი უნდა იყოს უცნობი და ორი წლის მანძილზე არ უნდა იყოს იგი თავის საცხოვრებელ ადგილას გამოჩენილი.
28. სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ კანონით მემკვიდრეები მოიპოვებენ უფლებამოსილებას, უკვალოდ დაკარგულის ქონება მართონ მინდობილი საკუთრების სახით, მათ შორის, მიიღონ მისგან სარგებელი. ან ქონებიდან მიეცემა სარჩო უგზო-უკვლოდ დაკარგულის რჩენაზე მყოფ პირებს და დაიფარება ვალი.

29. პირი შეიძლება სასამართლოს წესით გამოცხადდეს გარდაცვლილად, თუ მის საცხოვრებელ ადგილას ხუთი წლის განმავლობაში არ მოიპოვება ცნობები მის შესახებ და არ მოიპოვება ცნობები ამ პირის ადგილსამყოფელის შესახებ. აგრეთვე თუ იგი უგზო-უკვლოდ დაიკარგა ისეთ გარემოებაში, რომელიც მას სიკვდილს უქადდა, ანდა სავარაუდოა მისი დაღუპვა რაიმე უბედური შემთხვევის გამო და ასეთი ცნობები ექვსი თვის განმავლობაში არ მოიპოვება.
30. პირის გარდაცვალების დღედ მიიჩნევა მისი გარდაცვალებიდან გამოცხადების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დღე.
31. პირველ რიგში სასამართლო აუქმებს თავის გადაწყვეტილებას; დაბრუნების დროის მიუხედავად, პირს უფლება აქვს მოითხოვოს ის შენარჩუნებული ქონება, რომელიც მისი გარდაცვლილად გამოცხადების შემდეგ უსასყიდლოდ გადაეცა სხვა პირებს. ის პირი, რომელმაც გარდაცვლილად გამოცხადებულის ქონება სასყიდლით შეიძინა, ვალდებულია დაუბრუნოს მას ეს ქონება თუ დამტკიცდება, რომ ქონების შეძენისას მან იცოდა, რომ გარდაცვლილად გამოცხადებული პირი ცოცხალი იყო; თუ გარდაცვლილად გამოცხადებული პირის ქონება ხაზინას გადაეცა და მან მოახდინა მისი რეალიზაცია, მაშინ გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ გადაწყვეტილების გაუქმების შემდეგ პირს უბრუნდება ქონების რეალიზაციით მიღებული თანხა.
32. იურიდიული პირის ნიშნებია: ა) ყოველი იურიდიული პირი ორგანიზებული წარმონაქმნია; ბ) განსაზღვრული მიზნის მიღწევა; გ) დამოუკიდებელი ქონება; დ) საკუთარი სახელი; ე) იურიდიული პირების წარმოშობა რეგისტრაციას უკავშირდება; ვ) არაერთჯერადი საქმიანობა.
33. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 24-ე მუხლის მე-2 ნაწილის ორგანიზებული, წევრობაზე დაფუძნებული, წევრთა მდგომარეობაზე დამოკიდებული ან მისგან დამოუკიდებელი და მისდევდეს ან არ მისდევდეს მეწარმეობას.
34. კერძო სამართლის იურიდიულ პირს (სამეწარმეოსა თუ არასამეწარმეოს) უფლება აქვს განახორციელოს კანონით აუკრძალავი ნებისმიერი საქმიანობა მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს საქმიანობა წესდებაში გათვალისწინებული.
35. გ - ვარიანტი
36. დ - ვარიანტი
37. დ - ვარიანტი
38. ა - ვარიანტი

- 39. ბ - ვარიანტი
- 40. გ - ვარიანტი
- 41. გ - ვარიანტი
- 42. გ - ვარიანტი
- 43. გ - ვარიანტი
- 44. დ - ვარიანტი
- 45. დ - ვარიანტი
- 46. ბ - ვარიანტი
- 47. ა - ვარიანტი
- 48. ბ - ვარიანტი
- 49. ბ - ვარიანტი
- 50. გ - ვარიანტი
- 51. გ - ვარიანტი
- 52. დ - ვარიანტი
- 53. ბ - ვარიანტი
- 54. ა - ვარიანტი
- 55. დ - ვარიანტი
- 56. გ - ვარიანტი

გარიგებანი

კითხვები:

1. რა არის გარიგება?
2. როდის ჩაითვლება ნების გამოვლენა ნამდვილად?
3. რას ეწოდება ცალმხრივი გარიგებანი?
4. როგორია ვალდებულებითი – სამართლებრივი გარიგებები?
5. როგორია მავალდებულებითი გარიგებები?
6. განმარტეთ განკარგვითი გარიგება
7. როგორია შეძენითი გარიგებები?
8. განმარტეთ კაუზალური და აბსტრაქტული გარიგებები
9. განმარტოთ სასყიდლიანი (სანაცვალგებო) და უსასყიდლო (უნაცვალგებო) გარიგებანი.
10. როგორი შეიძლება იყოს გარიგების ფორმა?
11. უშვებს თუ არა სამოქალაქო კოდექსი გარიგების დადებისას ხელის მოწერის გადანდობას სხვა პირისათვის?
12. როგორია ბათილი გარიგება?
13. განმარტეთ მოჩვენებითი და თვალთმაქცური გარიგებები
14. რა არის გარიგების კონვერსია?
15. როდის ხდება არასრულწლოვანის მიერ კანონიერი წარმომადგენლის გარეშე დადებული გარიგება ნამდვილი?
16. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 65-ე მუხლის მე-2 ნაწილის შემთხვევაში როდის ხდება არასრულწლოვანის ემანსიპაცია?
17. რა მიიჩნევა გარიგების დადებისას არსებითი შეცდომის სახეებად?
18. როდის ითვლება კონტრაჰენტის პიროვნებაში შეცდომა არსებითად?
19. გარიგების დადებისას წვრილმანი შეცდომები იძლევიან თუ არა შეცილების უფლებას?
20. როდიდან ეძლევა პირს უფლება მოითხოვოს მოტყუებით დადებული გარიგების ბათილობა?
21. როდის აქვს იძულებითი გარიგების დადების ადგილი?

22. როგორია პირობითი გარიგება?
23. როგორია ნებაზე დამოკიდებული პირობა?
24. განმარტეთ პოზიტიური და ნეგატიური პირობა.
25. რა ეწოდება წინასწარ თანხმობას?
26. რა ეწოდება შემდგომ თანხმობას?
27. საიდან გამომდინარეობს წარმომადგენლის უფლებამოსილება გარიგებებში?
28. რა შემთხვევაში ქარწყლდება წარმომადგენლობითი უფლებამოსილება?

ტესტი:

29. დადასტურდა, რომ პირმა გარიგება დადო დროებითი ფსიქიკური მოშლილობის დროს.
 ბათილია თუ არა ასეთი გარიგება?
 ა) ბათილია, მხოლოდ მცირეწლოვანის მიერ დადებული გარიგება;
 ბ) ბათილია მხოლოდ სულით ავადმყოფის მიერ დადებული გარიგება, თუნდაც ის სასამართლოს მიერ იყოს აღიარებული ქმედუუნაროდ;
 გ) ბათილია, მხოლოდ ქმედუუნაროდ აღიარებული პირის მიერ დადებული გარიგება;
 დ) ბათილია, რადგან ბათილად შეიძლება ჩაითვალოს ნების გამოვლენა დროებითი ფსიქიკური მოშლილობის დროს.

30. არასრულწლოვანმა დ. კვინიკაძემ გ. ანთელავას მიჰყიდა კომპიუტერი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის გარეშე. გარიგების დადების შემდეგ კანონიერმა წარმომადგენელმა ეს გარიგება მოიწონა.
 ნამდვილია თუ არა ასეთი გარიგება?
 ა) არ არის ნამდვილი, რადგან ასეთი გარიგების დადებას წინასწარ სჭირდებოდა კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა;
 ბ) ნამდვილია, რადგან შემდგომ თანხმობას (მოწონებას) უკუქცევითი ძალა აქვს გარიგების დადების მომენტიდან;
 გ) არ არის ნამდვილი, რადგან შემდგომ მოწონებას უკუქცევითი ძალა არა აქვს;
 დ) ნამდვილია, თუ მყიდველი არ მოითხოვს გარიგების ბათილად ცნობას.

31. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმმა ქ. გიორგაძისაგან 50 000 ლარად იყიდა აივაზოვსკის ნახატი, აღმოჩნდა, რომ ნახატი აივაზოვსკის მიერ შესრულებული არ იყო, არამედ იყო ასლი.

უფლება აქვს თუ არა მუზეუმს მოითხოვოს ამ გარიგების ბათილობა?

- ა) არა აქვს, რადგან შეცდომა საგნის ძირითად თვისებებში არ მიეკუთვნება არსებით შეცდომას;
- ბ) აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შეცდომისას საგნის ძირითად თვისებებში მნიშვნელობა არა აქვს საგნის ღირებულების განსაზღვრისას;
- გ) აქვს, რადგან შეცდომა საგნის ძირითად თვისებებში არსებითი შეცდომა, თუ მათ მნიშვნელობა აქვთ საგნის ღირებულების განსაზღვრისას;
- დ) არა აქვს, რადგან გამყიდველმა (ქ. გიორგაძემ) არ იცოდა, რომ ნახატი ასლი იყო.

32. გ. თავხელიძემ მიაკითხა სამხატვრო სახელოსნოს და მოიკითხა ცნობილი მხატვარი, რომელსაც იგი პირადად არ იცნობდა. გ. თავხელიძეს სურდა მისთვის შეეკვეთა ავტოპორტრეტი. სამხატვრო სახელოსნოში აღმოჩნდა მხატვარი ცნობილი მხატვრის სახელისა და გვარისა, რომელმაც მიიღო შეკვეთა. ნახატის შესრულების შემდეგ გ. თავხელიძემ გაიგო, რომ ავტოპორტრეტი არ იყო ცნობილი მხატვრის მიერ შესრულებული და მოითხოვა გარიგების გაბათილება.

აქვს თუ არა გ. თავხელიძეს უფლება მოითხოვოს გარიგების გაბათილება?

- ა) არა, რადგან მხატვარმა მას დათქმულ დროში გადასცა ავტოპორტრეტი;
- ბ) დიახ, რადგან ავტოპორტრეტი მდარედ იყო შესრულებული;
- გ) დიახ, რადგან კონტრაქტის პიროვნება ან მისი პირადი თვისებების გათვალისწინება გარიგების დადების მთავარი საფუძველია;
- დ) არა, რადგან, მხატვარმა გ.თავხელიძესთან დადებული გარიგების წესები ზუსტად დაიცვა.

33. ი. აბულაძემ არ იცოდა რა იმის შესახებ, რომ მამუკაშვილი შეზღუდულქმედუნარიანი იყო, მიანდო მას საძინებელი ოთახის გარნიტურის შეძენა. თ. მამუკაშვილმა ი. აბულაძის მითითების შესაბამისად დადო გარნიტურის ნასყიდობის ხელშეკრულება.

ბათილია თუ არა გარიგება?

- ა) არ არის ბათილი, იმიტომ რომ წარმომადგენლის მიერ დადებული გარიგება ნამდვილია მაშინაც, როცა წარმომადგენელი შეზღუდულად ქმედუნარიანი იყო;
- ბ) ბათილია, რადგან წარმომადგენელი შეზღუდულქმედუნარიანი იყო;
- გ) არ არის ბათილი, თუ თ. მამუკაშვილის მიერ დადებულ გარიგებას ი. აბულაძე მოიწონებს;
- დ) ბათილია იმიტომ, რომ ნასყიდობის ხელშეკრულება უშუალოდ მყიდველმა უნდა დადოს.

34. შეუძლია თუ არა პირს, რომელსაც ქმედუნარიანობა შეეზღუდა სასამართლოს მიერ რაიმე გარიგება დადოს მზრუნველის თანხმობის გარეშე?

- ა) ქმედუნარიანობაშეზღუდულ პირს შეუძლია მზრუნველის თანხმობის გარეშე დადოს ისეთი გარიგებები, რომლებიც მოითხოვენ წერილობით ფორმას;
- ბ) ქმედუნარიანობაშეზღუდულ პირს მზრუნველის თანხმობის გარეშე შეუძლია დადოს წვრილმანი ყოფითი გარიგებები;
- გ) ქმედუნარიანობაშეზღუდულ პირს შეუძლია მზრუნველის თანხმობის გარეშე დადოს ისეთი გარიგებები, რომელთა შესრულება მათი დადებისთანავე ხდება;
- დ) ქმედუნარიანობაშეზღუდულ პირს რაიმე გარიგების დადების უფლება არა აქვს, თუნდაც მზრუნველის თანხმობით.

35. დადგენილ იქნა, რომ გარიგება დაიდო დროებით ფსიქიკური მოშლილობის დროს.

შეიძლება თუ არა ასეთი გარიგების ბათილად ცნობა?

- ა) შეიძლება, რადგან ბათილად შეიძლება ჩაითვალოს დროებითი ფსიქიკური მოშლილობის დროს დადებული გარიგება;
- ბ) არ შეიძლება, რადგან ბათილად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ სულით ავადმყოფის მიერ დადებული გარიგება, თუნდაც ის არ იყოს აღიარებული სასამართლოს მიერ ქმედუნაროდ;
- გ) არ შეიძლება, რადგან ბათილია მხოლოდ შვიდ წლამდე ასაკის მცირეწლოვანის მიერ დადებული გარიგება;
- დ) არ შეიძლება, რადგან ბათილი შეიძლება იყოს მხოლოდ სასამართლოს მიერ ქმედუნაროდ აღიარებული პირის მიერ დადებული გარიგება.

36. ვინ არიან ასაკის გამო შეზღუდულქმედუნარიანობის მქონე პირები?

- ა) რვა წლამდე ასაკის პირები;
- ბ) ღრმად მოხუცებულები;
- გ) შვიდიდან თვრამეტ წლამდე ასაკის პირები;
- დ) თოთხმეტიდან ჩვიდმეტ წლამდე ასაკის პირები.

37. შეცდომით დადებული გარიგების შეცილება უნდა მოხდეს:

- ა) შეცილების საფუძვლის შეტყობინებად 3 თვის ვადაში;
- ბ) შეცილების 1 წლის განმავლობაში;
- გ) შეცილების საფუძვლის შეტყობებიდან ერთი თვის ვადაში;
- დ) შეცილების საფუძვლის შეტყობიდან 6 თვის ვადაში.

38. მოტყუებით დადებული გარიგება შეიძლება სადავო გახდეს:

- ა) შეცილების უფლების მქონე პირის მიერ საფუძვლის არსებობის შეტყობიდან ერთი წლის განმავლობაში;
- ბ) შეცილების საფუძვლის შეტყობინებიდან 2 წლის განმავლობაში;
- გ) შეცილების საფუძვლის შეტყობიდან 1 თვის განმავლობაში;
- დ) შეცილების საფუძვლის შეტყობინებიდან 6 თვის განმავლობაში.

39. იძულებით დადებული გარიგება შეიძლება სადავო გახდეს:

- ა) 5 წლის განმავლობაში იძულების დამთავრების მომენტიდან;
- ბ) ერთი წლის განმავლობაში იძულების დამთავრების მომენტიდან;
- გ) 6 თვის განმავლობაში იძულების შეტყობის მომენტიდან;
- დ) 3 თვის განმავლობაში იძულების შეტყობის მომენტიდან.

40. გარიგება არის:

- ა) მხოლოდ ცალმხრივი;
- ბ) მხოლოდ ორმხრივი;
- გ) მხოლოდ მრავალმხრივი;
- დ) ცალმხრივი, ორმხრივი ან მრავალმხრივი ნების გამოვლენა, რომელიც მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ.

41. ნების გამოვლენა ნამდვილად ჩაითვლება იმ მომენტიდან:

- ა) როცა იგი მეორე მხარეს მიუვა;
- ბ) როცა ოფერენტი გამოავლენს ნებას;
- გ) ნების გამოვლენას გარკვეულ პირთა თანხმობა სჭირდება;
- დ) ნების გამოვლენას თანხმობა საერთოდ არ სჭირდება.

42. ნების გამოვლენის თეორია უკავშირდება:

- ა) ჰაიზეს სახელს;
- ბ) სავინის სახელს;
- გ) ვინდშიაიდის სახელს;
- დ) კოტცის სახელს.

43. ვინ განმარტავს ნებას?

- ა) ნებას განმარტავს მისი გამომვლენი პირი;
- ბ) ნება უნდა განმარტოს მისმა მიმღებმა;
- გ) ნების გამოვლენის განმარტებისას ნება უნდა დადგინდეს გონივრული განსჯის შედეგად და რა მართოდენ გამოთქმის სიტყვა-სიტყვითი აზრიდან;
- დ) ნებას განმარტება არ სჭირდება.

44. გარიგების კონვერსია იმ შემთხვევაში გვაქვს, როცა:

- ა) სახეზეა ბათილი გარიგება;
- ბ) სახეზეა საჯარო წესრიგის და ზნეობის ნორმების საწინააღმდეგო გარიგება;
- გ) სახეზეა საბაზრო ძალაუფლების ბოროტად გამოყენება;
- დ) თუ ბათილი გარიგება აკმაყოფილებს სხვა გარიგებისათვის გათვალისწინებულ მოთხოვნებს, გამოიყენება ეს უკანასკნელი, თუკი გარიგების ბათილობის შეტყობისას მხარეებს სურთ მისი ნამდვილობა.

45. შეცილების უფლების მქონე პირი კარგავს შეცილების უფლებას:

- ა) თუ ეს აქვეპტანტის ნებაა;
- ბ) თუ გარიგებას ადასტურებს შეცილების უფლების მქონე პირი, მაშინ იგი კარგავს შეცილების უფლებას;

გ) თუ ეს პირი ბათილ გარიგებას ადასტურებს;

დ) შეცილების უფლების მქონე პირი არასოდეს არ კარგავს შეცილების უფლებას.

46. უძრავი ქონების ნასყიდობისას პირებმა ხელშეკრულება შეიძლება დადონ:

ა) ზეპირად;

ბ) წერილობითი ფორმით;

გ) ზეპირად ან წერილობითი ფორმით;

დ) წერილობითი ფორმით ან გარიგებით განსაზღვრული უფლების რეგისტრაცია უნდა მოახდინონ საჯარო რეესტრში. ამასთანავე განცხადებას სხვა დოკუმენტებთან ერთად უნდა ერთვოდეს საბანკო დაწესებულებაში უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფასის უნაღლო ანგარიშსწორების ფორმით გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი. აღნიშნული ვალდებულება მოქმედებს, თუ ნასყიდობის გადახდა მხარეებს შორის ხდება ფულადი თანხით.

47. გარიგება წერილობითი ფორმით შეიძლება დაიდოს:

ა) ოფერენტის ნებით;

ბ) აქცეპტანტის თანხმობით;

გ) სახელმწიფოს ნებართვის საფუძველზე;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ან მხარეთა შეთანხმებით.

48. მწერალთა კავშირის გამგეობამ ნარდობის ხელშეკრულება გააფორმა ვ. ბერიძესთან.

ხელშეკრულების თანახმად, მენარდეს უნდა მოეხდინა გამგეობის შენობაში არსებული ძველი ავეჯის რესტავრაცია. ვ. ბერიძეს წინასწარ გადაუხადეს 200 ლარი, დანარჩენი 600 ლარი სამუშაოს დასრულების შემდეგ უნდა მიეღო. მოგვიანებით გამგეობისათვის ცნობილი გახდა, რომ ვ. ბერიძე, სულაც არ იყო ის რესტავრატორი, რომლის მოწვევაც მათ სურდათ. იგი ცნობილი რესტავრატორის მოსახელე იყო. შემკვეთს, კი სწორედ ცნობილი სპეციალისტის მოწვევა სურდა ავეჯის რესტავრაციისათვის. შემკვეთმა მოითხოვა ნარდობის გარიგების ბათილად ცნობა. სასამართლომ არ დააკმაყოფილა მწერალთა კავშირის მოთხოვნა.

სწორად მოიქცა თუ არა სასამართლო?

- ა) დიახ, რადგან მენარდემ ვ. ბერიძემ ნარდობის ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ მიიღო ავანსად 200 ლარი;
- ბ) არა, რადგან შეცდომის კონტრაგენტის პიროვნების მიმართ, რაც გარიგების დადების მთავარი საფუძველი იყო, უფლებას აძლევს მხატვართა კავშირს, მოითხოვოს ამ გარიგების ბათილობა;
- გ) დიახ, რადგან ნარდობის ხელშეკრულება გაფორმებული იქნა დადგენილი წესით;
- დ) არა, რადგან ნარდობის ხელშეკრულების ბათილობას კანონი არ ითვალისწინებს.

49. ი. გაგნიძემ მეგობარს, ლ. ანთიძეს შესთავაზა მისი კუთვნილი 5000 ათასი აშშ დოლარად ღირებული ბეჭდის გაცვლა თავის საათში, რომელიც ბრილიანტის თვლებით იყო მორთული, საკმაოდ ლამაზი იყო და მესაკუთრის თქმით 5400 აშშ დოლარი ღირდა. მოგვიანებით გაირკვა, რომ არც ერთი ნივთი ძვირფასი არ ყოფილა და ცხადია არავითარ ფასეულობას არ წარმოადგენდა. ი. გაგნიძემ სასამართლოს მიმართა და გარიგების ბათილობა მოითხოვა. სასამართლომ მისი სარჩელი არ დააკმაყოფილა.

რამდენად სწორად მოიქცა სასამართლო?

- ა) სწორად მოიქცა, რადგან გაცვლის ხელშეკრულება შეცილებიდან 1 წლის განმავლობაში შეიძლება ბათილად იქნეს ცნობილი;
- ბ) სწორად მოიქცა, რადგან მოტყუებით დადებული გარიგება ბათილია;
- გ) სწორად არ მოიქცა, რადგან თუ გარიგების ორივე მხარე მოტყუებით მოქმედებდა, მაშინ არც ერთ მათგანს არა აქვს უფლება მოტყუებაზე მითითებით მოითხოვოს გარიგების ბათილობა ან ზიანის ანაზღაურება;
- დ) არა, რადგან მხარეებს უფლება აქვთ მხოლოდ ზიანის ანაზღაურებაზე.

50. გარიგების ბათილობას იწვევს:

- ა) მესამე პირისაგან განხორციელებული იძულება;
- ბ) სახელმწიფოს მხრიდან განხორციელებული იძულება;
- გ) ისეთი იძულება, რომელსაც თავისი ხასიათით შეუძლია გავლენა მოახდინოს პირზე და აფიქრებინოს, რომ მის პიროვნებას ან ქონებას რეალური საფრთხე ემუქრება;
- დ) სამოქალაქო-სამართლებრივი გარიგება არ გაბათილდება.

51. გარიგების იძულების ხასიათის შეფასებისას მხედველობაში მიიღება:

- ა) პირის ჯანმრთელობა;
- ბ) პირის ქცევა ზოგადად;
- გ) მხოლოდ ცხოვრებისეული გარემოებანი;
- დ) ასაკი, სქესი და ცხოვრებისეული გარიგებანი.

52. პირობითად ითვლება გარიგება:

- ა) როცა იგი დამოკიდებულია მხარეთა ნებაზე;
- ბ) ერთ-ერთი მხარის ნებაზეა დამოკიდებული;
- გ) სახელმწიფოს რაიმე აქტზეა დამოკიდებული;
- დ) როდესაც იგი დამოკიდებულია სამომავლო და უცნობ მოვლენაზე, იმით, რომ ან გარიგების შესრულების გადადება ხდება მის დადგომამდე, ანდა გარიგების შეწყვეტა ამ მომენტის დადგომისთანავე.

53. იმ პირს, რომელმაც განსაზღვრული პირობით დადო გარიგება:

- ა) უფლება აქვს პირობის დადებამდე შეასრულოს მოქმედება, რომელსაც შეუძლია ხელი შეუშალოს მისი ვალდებულების შესრულებას;
- ბ) პირობის დადგომაზე ზემოქმედება მოახდინოს;
- გ) ნებისმიერ დროს დაარღვიოს პირობა;
- დ) არ აქვს უფლება პირობის დადგომამდე შეასრულოს რაიმე ისეთი მოქმედება, რომელსაც შეუძლია ხელი შეუშალოს მისი ვალდებულების შესრულებას.

54. თანხმობას:

- ა) სჭირდება გარიგებისათვის დადგენილი ფორმის ფაცვა;
- ბ) მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში სჭირდება კანონით დადგენილი ფორმის დაცვა;
- გ) სჭირდება სახელმწიფოს ნებართვა;
- დ) თანხმობას არ სჭირდება გარიგებისათვის დადგენილი ფორმის დაცვა.

55. შემდგომ თანხმობას:

ა) არა აქვს უკუქცევითი ძალა;

ბ) უკუქცევითი ძალა აქვს მხოლოდ თუ მხარეები ამის შესახებ შეთანხმდებიან;

გ) უკუქცევითი ძალა აქვს დისპოზიციური

ნორმებით გათვალისწინებულ შემთხვევაში;

დ) უკუქცევითი ძალა აქვს გარიგების დადების მომენტიდან, თუ სხვა რამ არ არის დადგენილი.

პასუხები:

1. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 50-ე მუხლის თანახმად: «გარიგება არის ცალმხრივი, ორმხრივი ან მრავალმხრივი ნების გამოვლენა, რომელიც მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ».
2. ნების გამოვლენამ რომელიც მოითხოვს მეორე მხარის მიერ მის მიღებას, ნამდვილად ჩაითვლება იმ მომენტიდან, როცა იგი მეორე მხარეს მიუვა.
3. ისეთი გარიგებები რომელთა ნამდვილობისათვის საკმარისია ერთი პირის მიერ ნების გამოვლენა, სამოქალაქო სამართალში ეწოდება ცალმხრივი გარიგებები.
4. ვალდებულებით – სამართლებრივი გარიგებები, ისეთი გარიგებებია, რომლებიც მიმართულია ვალდებულებით ურთიერთობების წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ.
5. მავალდებულებითი გარიგებების კატეგორიას მიეკუთვნება ისეთი გარიგებები, რომელთა საფუძველზეც პირი კისრულობს სხვათა წინაშე ვალდებულებას, შეასრულოს რაიმე მოქმედება ან თავი შეიკავოს ამ მოქმედებისაგან.
6. განკარგვითი გარიგების მიზანია უკვე არსებულ უფლებაზე ზემოქმედება – მისი შეცვლა, გადაცემა სხვისთვის უფლებრივი დატვირთვა ან გაუქმება.
7. როგორც წესი, უფლების ან სამართლებრივი ურთიერთობის განკარგვა გულისხმობს მათ გადაცემას სხვებისათვის ე.ი. შეძენისათვის. ამ უკანასკნელისთვის ეს შეძენითი გარიგებაა.

8. კაუზალურია გარიგება, რომელსაც აქვს კონკრეტული ხელშესახები სამართლებრივი საფუძველი causa; აბსტრაქტული გარიგების დროს კაუზალურისაგან განსხვავებით სამართლებრივ საფუძველს მნიშვნელობა არა აქვს და გარიგების ნამდვილობა დამოკიდებულია ამ სამართლებრივი საფუძველის ნამდვილობისაგან.
9. სასყიდლიანად ჩაითვლება ისეთი გარიგება, რომელშიც ერთი მხარის მიერ ნაკისრ ვალდებულებას შეესაბამება მეორე მხარის საპასუხო შესრულება-ეკვივალენტობა. უსასყიდლო გარიგებების დროს გარიგების მხარე მართალია კისრულობს რაიმე ვალდებულების შესრულებას, მაგრამ მას არ ახლავს თან საპასუხო შესრულება.
10. გარიგების ფორმა შეიძლება იყოს ხეპირი, წერილობითი, როგორც მოქმედებით, ასევე უმოქმედობით, დუმილით ან კონკლუდენტური მოქმედებით. (საქართველოს სამოქალაქო კოდექსი განამტკიცებს გარიგების ფორმის თავისუფლების პრინციპს).
11. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 70-ე მუხლის თანახმად: «იმ პირს, ვინც თვითონ ვერ მოაწერს ხელს გარიგებას წერა-კითხვის უცოდინარობის, ფიზიკური ნაკლის ან ავადმყოფობის გამო, შეუძლია გარიგებაზე ხელის მოწერა სხვას მიანდოს. ამ უკანასკნელის ხელმოწერა დამოწმებული უნდა იყოს ოფიციალურად. ამასთან, უნდა აღინიშნოს ის მიზეზი, რომლის გამოც გარიგების დამდებმა ვერ შეძლო გარიგებაზე ხელის მოწერა.
12. ბათილია გარიგება, რომელიც არღვევს კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს, ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს, ან ზნეობის ნორმებს (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მუხლი 54).
13. მოჩვენებითია გარიგება, რომელიც დადებულია მხოლოდ მოსაჩვენებლად, იმ განზრახვის გარეშე, რომ მას შესაბამისი იურიდიული შედეგი მოჰყვეს, ხოლო თუ მოსაჩვენებლად დადებული გარიგებით მხარეებს სურთ სხვა გარიგების დაფარვა, მაშინ გამოიყენება დაფარული გარიგების მიმართ მოქმედი წესები (თვალთმაქცური გარიგება).
14. თუ ბათილი გარიგება აკმაყოფილებს სხვა გარიგებისათვის გათვალისწინებულ მოთხოვნებს, გამოიყენება ეს უკანასკნელი, თუ გარიგების ბათილობის შეტყობინებას მხარეებს სურთ მისი ნამდვილობა.
15. თუ არასრულწლოვანი დებს ორმხრივ გარიგებას (ხელშეკრულებას) კანონიერი წარმომადგენლის აუცილებელი თანხმობის გარეშე, მაშინ ხელშეკრულების ნამდვილობა დამოკიდებულია იმაზე, შემდგომში მისი წარმომადგენელი მოიწონებს თუ არა მას, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა იგი იღებს სარგებელს.

16. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 65-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად: თუ «კანონიერი წარმომადგენელი ანიჭებს თექვსმეტი წლის ასაკს მიღწეულ არასრულწლოვანს საწარმოს დამოუკიდებლად გაძღოლის უფლებას, მაშინ ამ სფეროსათვის ჩვეულებრივ ურთიერთობებში იგი შეზღუდვად ქმედუნარიანი ხდება».
17. გარიგების დადებისას არსებითი შეცდომის სახეებია:
- a. პირს სურდა დაედო სხვა გარიგება და არა ის, რომელზედაც მან გამოთქვა თანხმობა
 - b. პირი ცდება იმ გარიგების შინაარსში, რომლის დადებაც მას სურდა
 - გ. არ არსებობს ის გარემოებები, რომელთაც მხარეები საფუძვლად განიხილავენ კეთილსინდისიერების პრინციპებიდან გამომდინარე.
18. შეცდომა კონტრაქტის პიროვნების მიმართ მხოლოდ მაშინ ითვლება არსებითად, როდესაც თვითონ კონტრაქტის პიროვნება ან მისი პირადი თვისებების გათვალისწინება გარიგების დადების მთავარი საფუძველია.
19. წვრილმანი შეცდომები გამოანგარიშებები, ან წერილობით განხორციელებულ ნების გამოვლენაში იძლევა მხოლოდ შესწორების, მაგრამ არა შეცილების უფლებას.
20. თუ პირი გარიგების დადების მიზნით მოატყუეს, იგი უფლებამოსილია მოითხოვოს ამ გარიგების ბათილობა. ეს ხდება მაშინ, როცა აშკარაა, რომ მოტყუების გარეშე გარიგება არ დაიდებოდა.
21. იძულებით გარიგების დადებას იმ შემთხვევაში აქვს ადგილი, როცა იძულება გამოწვეულია ძალადობით ან მუქარით.
22. პირობითად ითვლება გარიგება, როდესაც იგი დამოკიდებულია სამომავლო და უცნობ მოვლენაზე იმით, რომ ან გარიგების შესრულების გადადება ხდება მის დადგომამდე, ანდა გარიგების შეწყვეტა ამ მოვლენის დადგომისთანავე.
23. ნებაზე დამოკიდებულად ითვლება ისეთი პირობა, რომლის დადგომაც ან დაუდგომლობა დამოკიდებულია მხოლოდ გარიგების მხარეებზე.
24. თუ გარიგება დადებულია იმ პირობით, რომ რაიმე მოვლენა დადგება განსაზღვრულ ვადაში, მაშინ პირობა ძალადაკარგულად ითვლება, თუ კი ეს ვადა გავა და მოვლენა არ დადგა; თუ ვადა არ არის განსაზღვრული, მაშინ პირობა შეიძლება შესრულდეს ნებისმიერ დროს. პირობა შეიძლება ძალადაკარგულად იქნეს მიჩნეული, როცა აშკარაა, რომ მოვლენის დადგომა უკვე შეუძლებელი (პოზიტიური პირობა). თუ გარიგება დადებულია იმ პირობით, რომ რაიმე მოვლენა არ დაიდება განსაზღვრულ ვადაში, მაშინ პირობა შესრულებულა ითვლება, თუკი აღნიშნული ვადა გავა მოვლენის დადგომის

გარეშე: პირობა შეუსრულებლად ითვლება მაშინაც როცა ვადის გასვლამდე აშკარაა, რომ მოვლენის დადგომა შეუძლებელია; თუ ვადა განსაზღვრული არ არის, პირობა შეუსრულებლად ითვლება მხოლოდ მაშინ, როდესაც ნათელი გახდება, რომ მოვლენა არ დადგება (ნეგატიური პირობა).

25. წინასწარ თანხმობას ნებართვა ეწოდება.

26. შემდგომ თანხმობას მოწონება ეწოდება.

27. წარმომადგენლის უფლებამოსილება ან კანონიდან გამომდინარეობს ანდა წარმოიშობა დავალების (მონდობილობის) საფუძველზე.

28. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 109-ე მუხლის თანახმად წარმომადგენლობითი უფლებამოსილება ქარწყლდება:

ა) იმ ვადის გასვლით, რა ვადითაც გაიცა უფლებამოსილება

ბ) უფლებამოსილი პირის გარდაცვალებით

გ) უფლებამოსილების გამცემი პირის მიერ უფლებამოსილების გაუქმებით;

დ) უფლებამოსილების გამცემი პირის გარდაცვალებით ან მისი ქმედუუნარობის დადგომით, თუკი შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული;

ე) შესრულებით.

ტესტების პასუხები:

29. დ – ვარიანტი

30. ბ – ვარიანტი

31. ბ - ვარიანტი

32. გ – ვარიანტი

33. ა - ვარიანტი

34. ბ – ვარიანტი

35. ა - ვარიანტი

36. გ - ვარიანტი

37. გ - ვარიანტი

38. ა - ვარიანტი

- 39. ბ - ვარიანტი
- 40. დ - ვარიანტი
- 41. ა - ვარიანტი
- 42. ბ - ვარიანტი
- 43. გ - ვარიანტი
- 44. დ - ვარიანტი
- 45. ბ - ვარიანტი
- 46. დ - ვარიანტი
- 47. დ - ვარიანტი
- 48. ბ - ვარიანტი
- 49. გ - ვარიანტი
- 50. გ - ვარიანტი
- 51. დ - ვარიანტი
- 52. დ - ვარიანტი
- 53. დ - ვარიანტი
- 54. დ - ვარიანტი
- 55. დ - ვარიანტი

უფლების განხორციელება.

ვადების გამოთვლა

კითხვები:

1. როგორ უნდა განხორციელდეს სამოქალაქო უფლება?
2. არის თუ არა აუცილებელი მოგერიების ფარგლებში განხორციელებული მოქმედება მართლსაწინააღმდეგო და ამ დროს დამდგარი ზიანი თუ ანაზღაურდება?
3. რა ჩაითვლება აუცილებელ მოგერიებად?
4. ვინ უნდა აანაზღაუროს უკიდურესი აუცილებლობით გამოწვეული ზიანი?
5. პირი, რომელსაც რეალური საფრთხე ემუქრება მესამე პირისაგან და კომპეტენტური ორგანოების დახმარება ვერ უსწრებს დროულად, უფლებამოსილია თუ არა მიმართოს თვითდახმარებას?
6. თვითდახმარების მკაცრად განხორციელების დროს მიყენებული ზიანი უნდა ანაზღაურდეს თუ არა?
7. რა იგულისხმება «ვადის» ცნებაში?
8. როგორია დანიშნულების მიხედვით ვადების კლასიფიკაცია?
9. განასხვავებენ ვადებს, რომლებსაც ადგენს. . .?
10. ვადები შეიძლება განსაზღვრონ. . .?
11. როდის უნდა შესრულდეს მოქმედება, თუ მისი შესრულება დღეებით განსაზღვრული ვადითაა დადგენილი?
12. როდის უნდა დამთავრდეს განსაზღვრული ვადა, თუ ვადის დასაწყისად აღებულია რომელიმე მოვლენა დღის რომელიმე დროს?
13. როგორ გამოითვლება ახალი ვადა ვადის გაგრძელების შემთხვევაში?
14. იზრდება თუ არა სადღესასწაულო და გამოსასვლელი დღეების დამთხვევისას არასამუშაო დღეების რაოდენობა?
15. როდის უნდა დაიწყოს მოქმედება, თუ მოქმედების შესრულების ვადა ხუთი დღითაა განსაზღვრული და ეს ვადა 6 აპრილს დაიწყო?

16. მაგ: თუ ვადა განსაზღვრულია მოვლენის დადგომიდან ექვსი თვით, ხოლო მოვლენა კი დადგა 15 მარტს, როდიდან დაიწყება ვადების გამოთვლა?
17. მაგ: თუ მოქმედების ვადა ხუთი დღითაა განსაზღვრული და ეს დრო დაიწყო 6 მაისს, მაშინ როდის დამთავრდება ვადა?

პასუხები:

1. სამოქალაქო უფლება უნდა განხორციელდეს მართლზომიერად. დაუშვებელია უფლების გამოყენება მარტოდენ იმ მიზნით, რომ ზიანი მიადგეს სხვას.
2. აუცილებელი მოგერიების ფარგლებში განხორციელებული მოქმედება არ არის მართლსაწინააღმდეგო და ამ დროს დამდგარი ზიანი არ ანაზღაურდება.
3. აუცილებელ მოგერიებად ჩაითვლება ისეთი თავდაცვა, რომელიც აუცილებელია საკუთარ თავზე ან სხვებზე რეალური მართლსაწინააღმდეგო თავდასხმის მოსაგერიებლად.
4. იმ საფრთხის თავიდან ასაცილებლად მიყენებული ზიანი, რომელიც მოცემულ გარემოებაში არ შეიძლებოდა თავიდან აცდენილი ყოფილიყო სხვა საშუალებით და თუ მიყენებული ზიანი აცდენილ ზიანზე ნაკლებ მნიშვნელოვანია, უნდა აანაზღაუროს ზიანის მიმყენებელმა.
5. თუ კომპეტენტური ორგანოების დახმარება დროულად ვერ უსწრებს და სწრაფი ჩარევის გარეშე არსებობს საფრთხე რომ უფლება ვერ განხორციელდება, ან მისი განხორციელება არსებითად გართულდება, მაშინ მართლსაწინააღმდეგოდ არ ჩაითვლება იმ პირის მოქმედება, რომელიც მიმართავს თვითდახმარებას, ან ამ მიზნით წაართმევს, გაანადგურებს ან დააზიანებს ნივთს, ან ამავე მიზნით შეიპყრობს ვალდებულ პირს, რომელიც შეიძლება მიიმალოს, ანდა აღკვეთავს ვალდებულ პირის წინააღმდეგობას იმ მოქმედების მიმართ, რომელიც მას უნდა შეესრულებინა.
6. თვითდახმარების განხორციელების დროს, როცა სახეზე არ იყო მართლსაწინააღმდეგო მოქმედება, პირისათვის მიყენებული ზიანი უნდა ანაზღაურდეს, სულერთია ზიანი თუნდაც გაუფრთხილებელი მოქმედების შედეგად იყოს მიყენებული.
7. «ვადაში» იგულისხმება დროის განსაზღვრული პერიოდი (მომენტი), რომელსაც სამოქალაქო კანონმდებლობა უკავშირებს ამა თუ იმ იურიდიული შედეგის დადგომას.
8. დანიშნულების მიხედვით შეიძლება ერთმანეთისაგან განვასხვავოთ:

1. სამოქალაქო უფლების წარმომშობი ვადები.
2. სამოქალაქო უფლების განხორციელების ვადები:
 - ა) სამოქალაქო უფლების არსებობის ვადები;
 - ბ) საგარანტიო ვადები;
 - გ) საპრეტენზიო ვადები.
3. ვალდებულების შესრულების ვადები.
4. უფლების დაცვის ვადები (ხანდაზმულობის ვადები).

9. განასხვავებენ ვადებს, რომლებსაც ადგენს:
 1. კანონი
 2. სასამართლო
 3. გარიგება.

10. ვადები შეიძლება განსაზღვრონ:
 - ა) ზუსტად განსაზღვრული მომენტით (კალენდარული თარიღით);
 - ბ) განსაზღვრული პერიოდის სახით (მაგ:წლებით, კვარტლებით, თვეებით და ა. შ.);
 - გ) მოვლენაზე მითითებით.

11. როდესაც რაიმე მოქმედების შესასრულებლად დღეებით განსაზღვრული ვადა დადგენილი, მაშინ ეს მოქმედება უნდა შესრულდეს ბოლო დღის 24 საათამდე.
12. იმ შემთხვევაში, როცა ვადის დასაწყისად აღებულია რომელიმე დრო, მაშინ კვირებით, თვეებით ან რამდენიმე თვის შემცვლელი დროით განსაზღვრული ვადა მთავრდება ბოლო კვირის, ან ბოლო თვის იმ დღის დამთავრებისთანავე, რომელიც შეესატყვისება იმ დღეს, რომელშიც დგება მოვლენა ან დღის ზემოაღნიშნული დრო.
13. ვადის გაგრძელების შემთხვევაში ახალი ვადა გამოითვლება გასული ვადის დამთავრებიდან.
14. სადღესასწაულო და გამოსასვლელი დღეების დამთხვევისას არასამუშაო დღეების რაოდენობა იზრდება.
15. თუ მოქმედების შესრულების ვადა ხუთი დღითაა განსაზღვრული და ეს ვადა დაიწყო 6 აპრილს, მაშინ იგი დამთავრდება 11 აპრილს 24 საათზე.

16. თუ ვადა განსაზღვრულია მოვლენის დადგომიდან ექვსი თვით, ხოლო მოვლენა კი დადგა 15 მარტს, მაშინ ვადის გამოთვლა დაიწყება 16 მარტს და დამთავრდება 16 სექტემბერს.
17. თუ მოქმედების ვადა 5 დღითაა განსაზღვრული და ეს დრო დაიწყო 6 მაისს, მაშინ დამთავრდება 11 მაისს 24 საათზე.

ხანდაზმულობა

კითხვები:

1. რას გამოხატავს სამოქალაქო სამართალში სიტყვა «ხანდაზმულობა»?
2. როგორი ვადაა «ხანდაზმულობა»?
3. რაზე ვრცელდება ხანდაზმულობის ვადები?
4. რაზე არ ვრცელდება ხანდაზმულობის ვადები?
5. როდიდან იწყება ხანდაზმულობა?
6. თუ მოთხოვნა კრედიტორის მოქმედებაზეა დამოკიდებული, როდიდან იწყება ხანდაზმულობა?
7. როდის ჩერდება ხანდაზმულობის ვადის დენა?
8. აჩერებს თუ არა ქორწინება მოთხოვნის ხანდაზმულობას თუ ვალდებულება ქორწინებამდე წარმოიშვა და იგივე წესი მოქმედებს თუ არა სხვა შემთხვევაში?
9. როდის წყდება ხანდაზმულობის ვადის დენა?
10. როდიდან აითვლება ხანდაზმულობის ვადის დენის დაწყება თავიდან?
11. მთავარი მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის გასვლასთან ერთად, გასულად ითვლება თუ არა ხანდაზმულობის ვადა დამატებითი მოთხოვნებისათვის?
12. შესაძლებელია თუ არა მხარეთა შეთანხმებით ხანდაზმულობისა და მათი გამოთვლის წესის შეცვლა?
13. თუ ერთმა მეუღლემ მეორეს სესხად მისცა ფული ერთი წლის ვადით, დაქორწინების შემთხვევაში (თუ მეუღლე ვალს არ ითხოვს), სადამდე გაგრძელდება ხანდაზმულობის ვადის შეჩერება?
14. დავუშვათ, რომ ხანდაზმულობის ვადის დენა დაიწყოს 1995 წლის 10 ივლისს. როდის გავა სამწლიანი ხანდაზმულობის ვადის დროის ხანდაზმულობის ვადა?

15. 1997 წლის 10 იანვარს ხანდაზმულობის ვადის დენა შეჩერდა და ეს მდგომარეობა გაგრძელდა 1997 წლის 20 ოქტომბრამდე. შეჩერების მთელი დროის განმავლობაში (1997 წლის 10 იანვრიდან 20 ოქტომბრამდე) ხანდაზმულობის ვადის დენა შეჩერებულია. როდის გაგრძელდება იგი და როდის გავა ხანდაზმულობის ვადა?
16. მაგალითად, თუ სამწლიანი ხანდაზმულობის ვადის დროს ვადის მიმდინარეობა შეჩერდა მისი დაწყებიდან ორი წლის და რვა თვის გასვლის შემდეგ ხანდაზმულობის ვადის დენა რამდენი თვით გაგრძელდება?

ტესტები:

17. ჩამოთვლილთაგან რომელი მსჯელობაა სწორი?
ხანდაზმულობის საერთო ვადა შეადგენს:
- ა) ათ წელს;
 - ბ) ხუთ წელს;
 - გ) ერთ წელს;
 - დ) ექვს წელს.
18. სახელშეკრულებო მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადა შეადგენს:
- ა) ათ თვეს;
 - ბ) სამ წელს;
 - გ) ოთხ თვეს;
 - დ) ექვს თვეს.
19. უძრავ ნივთებთან დაკავშირებული სახელშეკრულებო მოთხოვნებისათვის ხანდაზმულობის ვადა შეადგენს:
- ა) ექვს წელს;
 - ბ) ათ წელს;
 - გ) რვა თვეს;
 - დ) სამ წელს.
20. ხანდაზმულობის ვადა იმ მოთხოვნებისათვის, რომლებიც წარმოიშობა პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებებისათვის:
- ა) ერთი წელია;
 - ბ) ექვსი თვეა;
 - გ) ოთხი წელია;

დ) სამი წელია.

21. რომელი გარემოება გამოიწვევს ხანდაზმულობის ვადის შეჩერებას?

ა) მოთხოვნის აღიარება;

ბ) სარჩელის შეტანა;

გ) ვალდებული პირის მიერ ავანსის გადახდა;

დ) მორატორიუმი.

22. ხანდაზმულობის ვადის დენა ჩერდება:

ა) მეანაბრეთა მოთხოვნებზე ბანკში შეტანილ ანაბრებზე;

ბ) უფლებამოსილი პირის მიერ სარჩელის შეტანით, მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად;

გ) ქორწინების არსებობისას, მეუღლეებს შორის მოთხოვნებზე;

დ) ვალდებული პირის, უფლებამოსილი პირის წინაშე პროცენტის გადახდით.

23. ხანდაზმულობის ვადის დენა წყდება:

ა) კრედიტორი, ან მოვალე იმყოფება შეიარაღებული ძალების იმ ნაწილში, რომელიც გადაყვანილია საომარ მდგომარეობაში;

ბ) ვიდრე პირი სრული ქმედუნარიანი არ გახდება, ან მას დაენიშნება წარმომადგენელი;

გ) როცა სასამართლოში სარჩელის წარდგენას, აბრკოლებს განსაკუთრებულ და მოცემულ პირობებში დაუძლეველი ძალა;

დ) თუ ვალდებული პირი, უფლებამოსილი პირის წინაშე ავანსის (მიცემით), ან სხვაგვარად აღიარებს მოთხოვნის არსებობას.

პასუხები:

1. სიტყვა «ხანდაზმულობა» სამოქალაქო სამართალში გამოხატავს იმ აზრს, რომ რომელიმე ურთიერთობას, მდგომარეობას, მოვლენას ადგილი ჰქონდა იმდენად დიდ ხნის წინ, რომ ხანგრძლივი დროის გასვლა განსაზღვრული სახით გავლენას ახდენს პირთა უფლებებზე და ვალდებულებებზე.

2. «ხანდაზმულობა» არის ვადა, რომლის განმავლობაში პირს, რომლის უფლებაც დაირღვა, შეუძლია მოითხოვოს თავისი უფლების იძულებით განხორციელება ან დაცვა.

3. სხვა პირისაგან რაიმე მოქმედების შესრულების ან მოქმედებისგან თავის შეკავების მოთხოვნის უფლებაზე ვრცელდება ხანდაზმულობა.

4. ხანდაზმულობის ვადა არ ვრცელდება:

- ა. პირად არაქონებრივ უფლებებზე, თუ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.
- ბ. მეანაბრეთა მოთხოვნებზე ბანკსა და სხვა საკრედიტო დაწესებულებებში შეტანილი ანაბრის გამო.
5. ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან.
6. თუ მოთხოვნის წარმოშობა დამოკიდებულია კრედიტორის მოქმედებაზე, ხანდაზმულობა იწყება იმ დროიდან, როცა კრედიტორს შეეძლო განეხორციელებინა ეს მოქმედება.
7. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 132-ე მუხლის თანახმად, ხანდაზმულობის ვადის დენა ჩერდება თუ,
 - ა. ვალდებულების შესრულება გადავადებულია აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ
 - ბ. სარჩელის წარდგენას აბრკოლებს განსაკუთრებული და მოცემულ პირობებში აუცდენელი დაუშლეველი ძალა
 - გ. კრედიტორი ან მოვალე იმყოფება შეიარაღებული ძალების იმ ნაწილში, რომელიც გადაყვანილია საომარ მდგომარეობაში
 - დ. კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში.
8. სანამ ქორწინება არსებობს, მეუღლეთა შორის მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა ჩერდება. იგივე წესი მოქმედებს მშობლებსა და შვილებს შორის მოთხოვნებზე ბავშვების სრულწლოვნების დადგომამდე, აგრეთვე შეურვეებსა (მზრუნველებსა) და სამეურვეო პირებს შორის მოთხოვნებზე მეურვეობის მთელი პერიოდის მანძილზე.
9. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 137-ე მუხლის თანახმად, «ხანდაზმულობის ვადის დენა წყდება, თუ ვალდებული პირი უფლებამოსილი პირის წინაშე ავანსის, პროცენტის გადახდით, გარანტიის მიცემით ან სხვაგვარად აღიარებს მოთხოვნის არსებობას.
10. თუ შეწყდება ხანდაზმულობის ვადის დენა, მაშინ შეწყვეტამდე გავლილი დრო მხედველობაში არ მიიღება და ვადა დაიწყება თავიდან.
11. მთავარი მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის გასვლასთან ერთად ხანდაზმულობის ვადა გასულად ითვლება დამატებითი მოთხოვნებისათვისაც, მაშინაც კი, როცა ამ მოთხოვნათა ხანდაზმულობის ვადა ჯერ არ გასულა.
12. ხანდაზმულობის ვადებისა და მათი გამოთვლის წესის შეცვლა მხარეთა შეთანხმებით დაუშვებელია.

13. თუ ერთმა მეუღლემ მეორეს სესხად მისცა ფული ერთი წლის ვადით, ამ ვადის გასვლის შემდეგ წარმოიშობა მოთხოვნის უფლება, მაგრამ თუ მეუღლე ხანდაზმულობის ვადის განმავლობაში (ვთქვათ სამი წლის განმავლობაში) არ მოითხოვს ვალის დაბრუნებას, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ხანდაზმულობის ვადა გავიდა. მოთხოვნის უფლების წარმოშობიდან ხანდაზმულობის ვადის დენა შეჩერებულად ითვლება და შეჩერება გრძელდება ქორწინების განმავლობაში. განქორწინების შემთხვევაში ხანდაზმულობის ვადის დენა დაიწყება.
14. 1998 წლის 10 ივნისს.
15. ხანდაზმულობის ვადის დენა გაგრძელდება 1997 წლის 20 ოქტომბრიდან მთელი დარჩენილი დროით, ე.ი ექვსი თვით. მაშასადამე ხანდაზმულობის ვადა გავა 1998 წლის 20 აპრილს. (იხილეთ: საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 135).
16. ხანდაზმულობის ვადის დენა გაგრძელდება არა დარჩენილი ოთხი თვით, არამედ ექვსი თვით (იხილეთ: მუხლი 136).

ტესტების პასუხი:

17. ა – ვარიანტი
18. ბ – ვარიანტი
19. ა – ვარიანტი
20. დ – ვარიანტი
21. დ – ვარიანტი
22. გ – ვარიანტი
23. დ – ვარიანტი

სასამართლო პრაქტიკა:

საქმე №ას-700-920-08
17 მარტი, 2009 წ.
№ას-700-920-08
ქ. თბილისი

სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

კასატორი – შპს «ცენტრი» (მოსარჩელე, შეგებებულ სარჩელში – მოპასუხე)
წარმომადგენელი – რ. მიგრიაული, თ. ქიტუაშვილი
შეგებებული საკასაციო საჩივრის ავტორი – ს. ნ-შვილი (მოპასუხე, შეგებებული სარჩელის ავტორი)
წარმომადგენელი – მ. სარჯველაძე
გასაჩივრებული გადაწყვეტილება – თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 20 . . წ. . . ივნისის გადაწყვეტილება
კასატორის მოთხოვნა – გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება
დავის საგანი – საზიარო უფლების გაუქმება, თანხის დაკისრება, გარიგების ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

შპს «ცენტრმა» და ი. მ-შვილმა სარჩელი აღძრეს სასამართლოში ს. ნ-შვილის მიმართ საზიარო ნივთის გასხვისებისა ან უპირატესი შესყიდვის გზით საზიარო უფლების გაუქმების შესახებ შემდეგი საფუძვლებით: დუშეთის რაიონის სოფ. . . . შპს «ცენტრსა» და ა. ნ-შვილს თანასაკუთრების უფლებით ეკუთვნით 9240 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე არსებული 104,8 კვ.მ შენობა, რომელშიც ფუნქციონირებდა რესტორანი «ქართული დუქანი», მოგვიანებით – «ევრაზია». უძრავი ქონების 4/5-ის მესაკუთრეა შპს «ცენტრი», ხოლო 1/5-ის – ს. ნ-შვილი. მხარეთა შორის არსებული ზეპირი მოლაპარაკების თანახმად, ზემოხსენებულ რესტორანში სამეწარმეო საქმიანობას ახორციელებდა შპს «ცენტრი», მოპასუხე კი იქ მუშაობდა დირექტორად და იღებდა შესაბამის ანაზღაურებას. მხარეები ასევე ზეპირი ფორმით შეთანხმდნენ, რომ რესტორან «ქართული დუქნის» რეკონსტრუქციის ხარჯებს დაფარავდნენ შპს «ცენტრი» და ი. მ-შვილი, რასაც შემდეგ 18 თვის განმავლობაში ამოიღებდნენ, თუმცა, თუ ობიექტი ვერ იმუშავებდა,

ნებისმიერი მხარის მოთხოვნით, იგი გაიყიდებოდა. გარკვეული მიზეზების გამო ობიექტი აღმოჩნდა ფინანსურად წამგებიანი. 2003 წლის 6 სექტემბერს შპს «ცენტრმა» მიმართა ა.ნ-შვილს მისი გასხვისების მოთხოვნით, რათა ობიექტის გაყიდვის შედეგად მიღებული თანხიდან დაფარულიყო რესტორნის რეკონსტრუქციისათვის გაწეულ ხარჯებში მოპასუხის წილი. მოსარჩელემ ასევე შესთავაზა ა.ნ-შვილს, გამოესყიდა საზიარო ნივთის მოსარჩელის კუთვნილი 80% ან დაეთმო თავისი 20%, თუმცა აღნიშნულ შეთავაზებას არანაირი შედეგი არ მოჰყოლია. სასარჩელო მოთხოვნის საფუძველად შპს «ცენტრმა» მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 961-ე მუხლის პირველი ნაწილზე, 964-ე და 966-ე მუხლებზე.

ს. ნ-შვილმა სარჩელი არ ცნო და შეგებებული სარჩელით მიმართა სასამართლოს შპს «ცენტრისა» და ი. მ-შვილის მიმართ 1999 წლის 17 ივნისს ნასყიდობის ხელშეკრულების გაუქმებისა და საზიარო ნივთის ნატურით გაყოფის თაობაზე შემდეგი დასაბუთებით: ძირითადი სარჩელისა და მასზე დართული დოკუმენტების მიღების შემდეგ ა.ნ-შვილისათვის ცნობილი გახდა, რომ 1999 წლის 17 ივნისის სადავო ნასყიდობის ხელშეკრულებით ი. მ-შვილმა კუთვნილი უძრავი ნივთის 4/5 წილი, ა.ნ-შვილის თანხმობის გარეშე, მიჰყიდა შპს «ცენტრს», რითაც დაარღვია მოპასუხის, როგორც აღნიშნული ნივთის თანამესაკუთრის, უპირატესი შესყიდვის უფლება. დაუსაბუთებელია მოსარჩელეთა მოთხოვნა მოპასუხის წილის პროპორციულად რესტორნის რეკონსტრუქციის ხარჯების ანაზღაურების შესახებ, რადგან, სამოქალაქო კოდექსის 173-ე მუხლის მესამე ნაწილისა და 960-ე მუხლის შესაბამისად, მოსარჩელებს უფლება აქვთ, მოითხოვონ მხოლოდ საერთო საკუთრებაში არსებული ნივთის მოვლისა და შენახვის ხარჯები.

დუშეთის რაიონული სასამართლოს 20 . . წ. . . დეკემბრის გადაწყვეტილებით შპს «ცენტრის» სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოპასუხე ა.ნ-შვილს მის სასარგებლოდ დაეკისრა სადავო უძრავი ქონების მოპასუხის წილიდან 91050 აშშ დოლარისა და 45 982,9 ლარის გადახდა, შპს «ცენტრის» მოთხოვნა საზიარო ნივთის რეალიზაციის გზით მასზე საზიარო უფლების გაუქმების შესახებ არ დაკმაყოფილდა, ი. მ-შვილს უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე, ს. ნ-შვილის შეგებებული სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, დუშეთის რაიონის სოფ. . . . მდებარე რესტორან «ევრაზიაზე» შპს «ცენტრისა» და ა.ნ-შვილის საზიარო უფლება უძრავი ნივთის ნატურით გაყოფის გზით გაუქმდა, ა.ნ-შვილს ნატურით გამოეყო დუშეთის რაიონის სოფ. . . . რესტორან «ევრაზიის» კუთვნილი 1/5 იდეალური წილის შესაბამისი რეალური წილი – 265,5 კვ.მ, კერძოდ, №6 სახინკლე და ეზოს ნაკვეთიდან მისი 1/5 იდეალური წილის შესაბამისი 1807 კვ.მ რეალური წილი, 2004 წლის 2 ივლისის

№771/15 საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნის შესაბამისად, ა.ნ-შვილის შეგებებული სარჩელი 1999 წლის 17 ივნისის ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის ნაწილში არ დაკმაყოფილდა.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება შპს «ცენტრმა» ძირითადი სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისა და შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში, ხოლო ა.ნ-შვილმა შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისა და ძირითადი სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში გაასაჩივრეს სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 20 . . წ. . . ივნისის გადაწყვეტილებით შპს «ცენტრისა» და ს. ნ-შვილის სააპელაციო საჩივრები ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და შპს «ცენტრის» სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, შპს «ცენტრის» მოთხოვნა ობიექტის გაუმჯობესებისათვის გაწეული ხარჯების ს. ნ-შვილისათვის დაკისრების შესახებ ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ს. ნ-შვილს დაეკისრა 8939,60 ლარის გადახდა შპს «ცენტრის» სასარგებლოდ, შპს «ცენტრის» მოთხოვნა საზიარო უფლების გაუქმების შესახებ ნივთის გაყიდვის გზით არ დაკმაყოფილდა, ს. ნ-შვილის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა საზიარო უფლება და ს. ნ-შვილს ნატურით გამოეყო დუშეთის რაიონის სოფ. . . . მდებარე რესტორან «ევრაზიის» კუთვნილი 1/5 იდეალური წილის შესაბამისი რეალური წილი საინჟინრო-ტექნიკური და სასაქონლო ექსპერტის 2008 წლის 28 იანვრის დასკვნის მიხედვით, 1222 კვ.მ მიწის ნაკვეთი და №6, №7 შენობები, შპს «ცენტრს» დაეკისრა ს. ნ-შვილის სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის სახით ჩარიცხული 2142,42 ლარისა და სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ 2500 ლარის გადახდა შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მხარეთა შორის სამართლებრივი ურთიერთობა წარმოიშვა სანივთო სამართლის, საერთო საკუთრების საფუძველზე, რაც დასტურდება მათ საკუთრებაში დუშეთის რაიონის სოფ. . . . მდებარე რესტორან „ქართული დუქანის“ აღრიცხვით. სასამართლომ დაადგინა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებანი: სადავო რესტორნის 1/5 წილს საკუთრების უფლებით ფლობდა ს. ნ-შვილი, 4/5 წილს – ჯერ ი. მ-შვილი, ხოლო 1999 წლის 17 ივნისის ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე – შპს „ცენტრი“. პარტნიორთა გადაწყვეტილებით რესტორან „ქართულ დუქანს“ 1999 წლის ივლისიდან ეწოდა „ევრაზია“. შპს „ცენტრმა“ საკუთარი სურვილითა და ხარჯებით მოახდინა რესტორნის რეკონსტრუქცია. ამასთან, მხარეები შეთანხმდნენ და ა.ნ-შვილს წინააღმდეგობა არ გაუწევია იმაზე, რომ რესტორან „ევრაზიას“ რეკონსტრუქციის ხარჯები, უნდა

დაფარულიყო მისი ამოქმედებიდან 18 თვეში რესტორნიდან მიღებული შემოსავლით, რის შემდეგაც მხარეთა შორის მოგება განაწილდებოდა წილების პროპორციულად. აღნიშნული შეთანხმება ვერ განხორციელდა, რადგან რესტორანი აღმოჩნდა წამგებიანი. რესტორან „ევრაზიას“ რეკონსტრუქციის თაობაზე თანამესაკუთრეთა შეთანხმება სააპელაციო სასამართლომ შეაფასა ერთობლივ საქმიანობად, რომელშიც, სამოქალაქო კოდექსის 932-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, ერთობლივი საქმიანობისთვის გათვალისწინებული შესატანები განხორციელდა ერთობლივი საქმიანობის მონაწილეთა საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის შეტანითა და შპს „ცენტრის“ მიერ განხორციელებული ფულადი შესატანით. ამავე მუხლის მესამე ნაწილის შესაბამისად, მხარეთა შეთანხმებით გათვალისწინებულ იქნა ერთობლივი საქმიანობის განხორციელების შემდეგ მოგების განაწილება წილების პროპორციულად. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მხარეთა მიერ განხორციელებული შენატანები წარმოადგენს მათ, როგორც ერთობლივი საქმიანობის მონაწილეთა საერთო საკუთრებას არსებული წილების შესაბამისად, ამასთან, შპს „ცენტრის“ მიერ განხორციელებული ფულადი შესატანით ჩატარებული სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების შედეგად მიღებული რეკონსტრუირებული რესტორანი „ევრაზია“ უნდა ჩაითვალოს საერთო საკუთრებაში არსებული უფლების საფუძველზე შეძენილ ქონებად, რითაც გაიზარდა თანამესაკუთრეთა წილის ღირებულება. სასამართლომ დაადგინა, რომ რესტორანმა „ევრაზიამ“ შეწყვიტა ფუნქციონირება, მაგრამ დარჩა ქონება, რომელიც, მოცემულ შემთხვევაში, მხარეთა შეთანხმებიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 940-ე მუხლის თანახმად, უნდა განაწილდეს მხარეებს შორის მათი წილის შესაბამისად. სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა შპს „ცენტრის“ მოსაზრება მის მიერ განხორციელებული ფულადი შენატანის ზემოხსენებული მუხლით გათვალისწინებული ერთობლივი საქმიანობის დროს წარმოშობილ ვალად მიჩნევის თაობაზე, რადგან, აღნიშნული ნორმის შინაარსის მიხედვით, ვალის გადახდის ვალდებულებაც ერთობლივი საქმიანობის მონაწილეებს, მათ შორის, ა. ნ-შვილსაც დაეკისრებოდა მესამე პირის მიმართ, ხოლო, შპს „ცენტრის“, როგორც ერთობლივი საქმიანობის მონაწილის, მიერ განხორციელებული შენატანი სასამართლომ მესამე პირის ვალად არ ჩათვალა. სააპელაციო პალატამ უდავოდ დადგენილად მიიჩნია ის გარემოება, რომ ამჟამად საჯარო რეესტრის მონაცემების მიხედვით, მხარეების თანასაკუთრებას წარმოადგენს რეკონსტრუირებული, გაუმჯობესებული რესტორანი „ევრაზია“, შესაბამისად, მხარეებს უფლება აქვთ, მოითხოვონ აღნიშნულ უძრავ ნივთზე საზიარო უფლების გაუქმება. სამოქალაქო კოდექსის 961-ე მუხლის

პირველი ნაწილისა და 963-ე მუხლის საფუძველზე სასამართლომ დაასკვნა, რომ შესაძლებელია საზიარო უფლების გაუქმება ნატურით გაყოფის გზით, რადგან საქმეზე დანიშნული საინჟინრო-ტექნიკური და სასაქონლო ექსპერტის 2008 წლის 28 იანვრის დასკვნით თანასაკუთრებაში არსებული სადავო უძრავი ქონების 1/5 წილის ნატურით გამოყოფა შესაძლებელია 1/5 წილის მფლობელისთვის №6 და №7 შენობებისა და 1222 კვ.მ მიწის ნაკვეთის გამოყოფით, რომელთა საორიენტაციო საბაზრო ღირებულება შეადგენს 66660 აშშ დოლარს, რაც მთლიანი კომპლექსის საორიენტაციო ღირებულების 1/5 წილს შეესაბამება. ამდენად, პალატამ მიიჩნია, რომ ს. ნ-შვილის მოთხოვნა საზიარო უფლების გაუქმების შესახებ ნატურით გაყოფის გზით საფუძველიანია, შესაბამისად, არ უნდა დაკმაყოფილდეს შპს „ცენტრის“ მოთხოვნა, რადგან სამოქალაქო კოდექსის 964-ე მუხლით გათვალისწინებული საზიარო საგნის გაყიდვის გზით საზიარო უფლების გაუქმების აუცილებლობა მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს. სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლის მსჯელობა ა.ნ-შვილის მოთხოვნაზე 1999 წლის 17 ივნისს ი. მ-შვილსა და შპს „ცენტრს“ შორის დადებული ნასყიდობის ბათილად ცნობის შესახებ, იმ მოტივით, რომ მოქმედი სამოქალაქო კანონმდებლობა, უპირატესი შესყიდვის უფლების დარღვევის გამო, გარიგების ბათილად ცნობის შესაძლებლობას არ ითვალისწინებს. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ სამოქალაქო კოდექსის 173-ე მუხლის მეოთხე ნაწილი და 959-ე მუხლი ადგენს რა მხარეთა შეთანხმებას საერთო საკუთრების წილის უპირატესი შესყიდვის უფლების განსაზღვრის შესაძლებლობის თაობაზე, მითითებული ნორმების მოთხოვნა არ არის იმპერატიული და არ ავალდებულებს მხარეებს საერთო საკუთრების წილის უპირატესი შესყიდვის უფლებაზე შეთანხმებას. სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ შპს „ცენტრის“ მოთხოვნა ობიექტის გუმჯობესებისათვის გაწეული ხარჯების ა.ნ-შვილისთვის დაკისრების თაობაზე ნაწილობრივ საფუძველიანია, რადგან ექსპერტის დასკვნით დადგინდა იმ ქონების საორიენტაციო საბაზრო ღირებულება, 66660 აშშ დოლარი, რომელიც მიეკუთვნა საზიარო უფლების გაუქმების შემდეგ ა.ნ-შვილს. სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 987-ე მუხლის პირველი ნაწილით და დაადგინა, რომ საზიარო უფლებიდან ა.ნ-შვილს მიწის ნაკვეთი, №6 და №7 შენობები მიეკუთვნა გაუმჯობესებული სახით და მოპასუხემ მიიღო იმაზე მეტი ღირებულების ქონება, რაც ეკუთვნოდა, შესაბამისად, შპს „ცენტრის“ მიერ, 1999 წლის 17 ივნისს სადავო ქონების შეძენის შემდეგ, უძრავი ქონების (მიწის ნაკვეთის შესაძენად, რესტორან «ევრაზიას» სარემონტო სამუშაოებისათვის, ღობისა და ეზოს მოსაწყობად)

რეკონსტრუქციისათვის დახარჯული 44690 ლარიდან 1/5 8939,60 ლარის გადახდა უნდა დაეკისროს ს. ნ-შვილს. შპს „ცენტრის“ მოთხოვნა დანარჩენ ნაწილში სასამართლომ ჩათვალა დაუსაბუთებლად. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის საფუძველზე სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ აპელანტების მოთხოვნების დაკმაყოფილების შესაბამისად და შპს «ცენტრის» სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების პროპორციულად ა.ნ-შვილის მიერ გადასახდელი სასამართლო ხარჯები სახელმწიფო ბაჟის სახით უნდა განისაზღვროს მისთვის დაკისრებული 8939,60 ლარიდან, ხოლო შპს «ცენტრისათვის» დაკისრებული სახელმწიფო ბაჟი – ა.ნ-შვილის მოთხოვნის დაკმაყოფილების პროპორციულად. სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოებში შპს «ცენტრმა» გადაიხადა სახელმწიფო ბაჟი – 5300 ლარი, ა.ნ-შვილმა კი – 2500 ლარი და 2500 ლარი გადაუვადდა. ამდენად, სასამართლომ მიიჩნია, რომ შპს «ცენტრს» უნდა დაეკისროს ს. ნ-შვილის სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის სახით ჩარიცხული 2142,42 ლარისა და სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ 2500 ლარის გადახდა.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება სახელმწიფო ბაჟის სახით კასატორისათვის 2142,42 და 2500 ლარის დაკისრების, შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებისა და ძირითადი სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში შპს «ცენტრმა» გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით ს. ნ-შვილისათვის შპს «ცენტრის» სასარგებლოდ 91 050 აშშ დოლარისა და 37 043,40 ლარის დაკისრება, ასევე შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი საფუძველებით: სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა და გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 932-ე მუხლის მესამე ნაწილის მეორე წინადადება, როდესაც შპს «ცენტრის» მიერ განხორციელებული ფულადი შენატანით ჩატარებული სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების შედეგად რეკონსტრუირებული რესტორანი «ევრაზია» საერთო საკუთრებაში არსებული უფლების საფუძველზე შეძენილ ქონებად მიიჩნია. ამავე კოდექსის 940-ე მუხლის არასწორად განმარტებისა და გამოყენების შედეგად სააპელაციო პალატამ ასევე არასწორად ჩათვალა, რომ შპს «ცენტრის» მიერ განხორციელებული ფულადი შენატანი არ უნდა ჩაითვალოს ხსენებული ნორმით გათვალისწინებულ ერთობლივი საქმიანობის დროს წარმოშობილ ვალად, რის გამოც სასამართლომ ა.ნ-შვილს უკანონოდ დააკისრა მხოლოდ 44 690 ლარის 1/5-ის – 8939,60 ლარის გადახდა. სააპელაციო პალატამ დაადგინა და სადავოდ არ გამხდარა ის გარემოება, რომ მხარეებმა ერთობლივ საქმიანობაში შესატანის სახით შეიტანეს უძრავი ქონება, ხოლო შპს «ცენტრმა», მხარეთა ზეპირი შეთანხმების

საფუძველზე, დამატებით შეიტანა ასევე ფულადი სახსრები, რაც მოხმარდა რესტორნის რეკონსტრუქციას. აღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო კოდექსის 932-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სასამართლოს მოპასუხისათვის უნდა დაეკისრებინა ერთობლივ საქმიანობაში თანაბარი წილის შეტანა. სასამართლომ არ გამოიკვლია ის გარემოება, რომ ა.ნ-შვილს წილი მხარეთა ერთობლივ საქმიანობაში არ შეუტანია, რის გამოც კასატორს, სამოქალაქო კოდექსის 937-ე მუხლის პირველი ნაწილის მეორე წინადადებიდან გამომდინარე, წარმოეშვა გადაუხდელი შენატანის ანაზღაურების მოთხოვნის ვალდებულება. ამდენად, ა.ნ-შვილის მიერ შპს «ცენტრისათვის» გადასახდელი ვალები წარმოადგენს არა მესამე პირის ვალს, როგორც ეს სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, არამედ ერთობლივი საქმიანობიდან გამომდინარე ერთ-ერთი მონაწილის ვალს მეორის მიმართ. დაუსაბუთებელია გასაჩივრებული გადაწყვეტილება შპს «ცენტრის» სასარგებლოდ ა.ნ-შვილისათვის მხოლოდ 8939,60 ლარის დაკისრების ნაწილში. სასამართლოს უნდა გამოეყენებინა სამოქალაქო კოდექსის 966-ე მუხლი და საზიარო საგნიდან ა.ნ-შვილისათვის გამოყოფილი წილის ღირებულებიდან, 66 660 აშშ დოლარიდან, დაეკისრებინა მოპასუხისათვის 1/5-ის, ქონების 20%-ის, 13 332 აშშ დოლარის გადახდა. სააპელაციო პალატამ გაიზიარა რა რაიონული სასამართლოს მსჯელობა, სამოქალაქო კოდექსის 987-ე მუხლის შესაბამისად, საზიარო საგნის გაუმჯობესების ხარჯების ანაზღაურების თაობაზე, გაუგებარია, რატომ დააკმაყოფილა აღნიშნულის შესახებ შპს «ცენტრის» მოთხოვნა ნაწილობრივ. ამასთან, ნიშანდობლივია, რომ ა.ნაცლიშვილისათვის ცნობილი იყო შპს «ცენტრის» მიერ საზიარო ნივთის რეკონსტრუქციისა და კეთილმოწყობის თაობაზე, რაზეც მას პრეტენზია არ გამოუთქვამს. ამდენად, იგი უშვებდა, რომ მისი წილი სადავო ქონებიდან რეკონსტრუქციის შედეგად გაიზრდებოდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო კოდექსის 987-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ა.ნ-შვილს უნდა დაკისრებოდა მისი წილის გაუმჯობესებისათვის გაწეული ხარჯები – 91 050 აშშ დოლარი და 45 983 ლარი. მართალია, ა.ნ-შვილის წილი ამჟამად 66 660 აშშ დოლარს შეადგენს და ზემოხსენებული თანხის დასაფარად საკმარისი არ არის, თუმცა დარჩენილი თანხა უნდა ანაზღაურდეს მოპასუხის კუთვნილი სხვა ქონებიდან. უკანონოა გასაჩივრებული გადაწყვეტილება შპს «ცენტრისათვის» სახელმწიფო ბაჟის დაკისრების ნაწილში. ამდენად, სააპელაციო სასამართლოს შპს «ცენტრისათვის» გადასახდელი სახელმწიფო ბაჟის ოდენობა უნდა განესაზღვრა ა.ნ-შვილის მოთხოვნის დაკმაყოფილების პროპორციულად და კასატორისათვის ა.ნ-შვილის სასარგებლოდ დაეკისრებინა არა 4 642,42 ლარის, არამედ

3028,82 ლარის გადახდა. მოცემული საკასაციო საჩივარი დასაშვებია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის «ა» და «გ» ქვეპუნქტების შესაბამისად.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება შპს «ცენტრის» სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში ს. ნ-შვილმა გაასაჩივრა შეგებებული საკასაციო საჩივრით, მოითხოვა გასაჩივრებულ ნაწილში მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით შპს «ცენტრის» სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი საფუძვლებით: სააპელაციო სასამართლომ საზიარო ნივთზე გაწეული ხარჯების ოდენობა წილთა პროპორციულად სწორად განსაზღვრა, თუმცა პალატას არ უნდა გაეზიარებინა შპს «ცენტრის» მოთხოვნა სამოქალაქო კოდექსის 173-ე მუხლისა და საზიარო უფლებებიდან გამომდინარე სხვა ნორმების საფუძველზე ა.ნ-შვილისათვის საზიარო ნივთზე გაწეული ხარჯების ანაზღაურების შესახებ, ვინაიდან ზემოხსენებული ნორმები ეხება მხოლოდ ნივთის მოვლის ხარჯებს, აუცილებელ ხარჯებსა და ა.შ. ყველა ამგვარ ხარჯში ა.ნ-შვილი მონაწილეობდა, მოცემულ შემთხვევაში კი სასამართლოს მიერ დაკისრებული 8939,6 ლარი წარმოადგენს არა სამოქალაქო კოდექსის 173-ე მუხლის მესამე ნაწილით გათვალისწინებულ აუცილებელ ხარჯს, არამედ ნივთის კომერციული დანიშნულებით გამოყენების შესაძლებლობის გაუმჯობესების ხარჯს, რაც საკუთრივ ნივთის გაუმჯობესებად ვერ ჩაითვლება. მოსარჩელე მხარეს თავისი სასარჩელო მოთხოვნა სამოქალაქო კოდექსის 987-ე მუხლზე არ დაუფუძნებია და არც ის გარემოება უმტკიცებია, რომ, ამავე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, შპს «ცენტრის» მიერ გაღებული ხარჯების შედეგად ა.ნ-შვილს გადაეცა გაზრდილი ღირებულების ქონება ან რაიმე სარგებელი. მოსარჩელე აღნიშნულ გარემოებას ვერც დაამტკიცებდა, რადგან მის მიერ გაწეული ხარჯებით გაუმჯობესდა უმეტესად მოძრავი ნივთები და არა მოპასუხის კუთვნილი უძრავი ქონება. შპს «ცენტრს» არ მოუთხოვია არც ექსპერტიზის დანიშვნის გზით აღნიშნული საკითხის გარკვევა, შპს «ცენტრს» არ მიუთითებია და არც საქმის მასალებში არსებული მტკიცებულებებით არ დასტურდება სადავო გაუმჯობესების შედეგად ა.ნ-შვილის გამდიდრების ფაქტი. ამასთან, აღსანიშნავია, რომ სამოქალაქო კოდექსის 987-ე მუხლი არეგულირებს ურთიერთობას მხარეთა შორის, როდესაც სადავო ნივთი პირს უბრუნდება, ამდენად, დასახელებული ნორმის მოქმედება სადავო ურთიერთობაზე ვერ გავრცელდება. სააპელაციო სასამართლომ ყურადღება არ გაამახვილა ძირითად სარჩელში შპს «ცენტრის» მითითებაზე, რომ მხარეთა შეთანხმების მიხედვით ა.ნ-შვილს ობიექტის გაუმჯობესებაში მონაწილეობა არ უნდა მიეღო, რესტორანში სამეწარმეო საქმიანობას ეწეოდა შპს «ცენტრი» და მის მიერ გაწეული ხარჯების ანაზღაურება

უნდა მომხდარიყო რესტორნის ამუშავებიდან 18 თვის განმავლობაში. აღნიშნულიდან ირკვევა, რომ ა.ნ-შვილის მიერ რესტორნის გაუმჯობესების ხარჯების ანაზღაურების ვალდებულება მხარეთა შეთანხმებით გათვალისწინებული არ იყო. ანალოგიური მოსაზრება დასტურდება მოსარჩელის მიერ 2004 წლის 12 ოქტომბრის სასამართლო სხდომის ოქმსა და მისი წარმომადგენლის მიერ 2005 წლის 1 ივლისის სხდომაზე მიცემული განმარტებებით, სადაც ასევე დაფიქსირებულია, რომ მხარეთა შორის მოგება უნდა განაწილებულიყო მხოლოდ მას შემდეგ, რაც ი.მ-შვილი დაიბრუნებდა თანხას. აღსანიშნავია, რომ ი.მ-შვილის მიერ თანხის მიუღებლობაში ა.ნ-შვილს ბრალი არ მიუძღოდა, ვინაიდან, შეთანხმებისამებრ, მოპასუხე არ სარგებლობდა სადავო ობიექტით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრების საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ შპს «ცენტრისა» და ს. ნ-შვილის საკასაციო საჩივრები უნდა დაკმაყოფილდეს, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება ნივთის გაუმჯობესებისათვის დახარჯული თანხის დაკისრებისა და სახელმწიფო ბაჟის განაწილების ნაწილში და ამ ნაწილში საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო პალატამ დააკმაყოფილა რა შპს «ცენტრის» მოთხოვნა ნივთის გაუმჯობესების ხარჯების ა.ნ-შვილისათვის დაკისრების ნაწილში, ს. ნ-შვილს შპს «ცენტრის» სასარგებლოდ დაეკისრა 8939,60 ლარის გადახდა. პალატამ დაადგინა, რომ საზიარო უფლებიდან ა.ნ-შვილს მიწის ნაკვეთი, №6 და №7 შენობები მიეკუთვნა გაუმჯობესებული სახით და მოპასუხემ მიიღო იმაზე მეტი ღირებულების ქონება, რაც ეკუთვნოდა, შესაბამისად, შპს „ცენტრის“ მიერ, 1999 წლის 17 ივნისს სადავო ქონების შეძენის შემდეგ, უძრავი ქონების (მიწის ნაკვეთის შესაძენად, რესტორან «ევრაზიას» სარემონტო სამუშაოებისათვის, ღობისა და ეზოს მოსაწყობად) რეკონსტრუქციისათვის დახარჯული 44690 ლარიდან 1/5-ის გადახდა უნდა დაეკისროს ს. ნ-შვილს.

საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება

შეუძლებელია. მითითებული ნორმის შესაბამისად, საკასაციო სასამართლო ამოწმებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერებას, სამართლებრივი შეფასების სისწორეს, რაც გულისხმობს სასამართლოს მიერ დადგენილი იურიდიული ფაქტების შესაბამისობას სამართლის ნორმის შემადგენლობასთან, შინაარსთან. სამართლებრივი დასაბუთებულობის შემოწმება შეუძლებელია, თუ გადაწყვეტილებით სასამართლოს მიერ არ იქნა დადგენილი საქმისათვის მნიშვნელოვანი ფაქტები. ამასთან, ამავე კოდექსის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). აღნიშნული ნორმა იმპერატიულად ადგენს საკასაციო სასამართლოს ვალდებულებას, დასაბუთებული საკასაციო საჩივრის (პრეტენზიის), შემთხვევაში შეამოწმოს სასამართლოს მიერ დადგენილი იურიდიული ფაქტების – გარემოებების შესაბამისობა საქმეში არსებულ მტკიცებულებებთან ანუ შეამოწმოს, დაცულია თუ არა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 249-ე მუხლის მოთხოვნა სასამართლოს გადაწყვეტილების დასაბუთებულობის შესახებ.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 249-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე ან მასზე უარის თქმის თაობაზე როგორც ფაქტობრივად, ასევე სამართლებრივად უნდა იყოს დასაბუთებული. აღნიშნული გულისხმობს, რომ სასამართლოს გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი თავის მხრივ შედგება ორი ნაწილისაგან: ფაქტობრივი დასაბუთებისაგან, რომელიც მოიცავს სასამართლოს მიერ დადგენილ გარემოებებს, მტკიცებულებებს, რომლებსაც ემყარება სასამართლოს დასკვნები და მოსაზრებებს, რომლებითაც სასამართლო უარყოფს ამა თუ იმ მტკიცებულებას. გადაწყვეტილების ფაქტობრივი დასაბუთება იძლევა მისი სამართლებრივი შეფასების შესაძლებლობას და, ამასთან, ფაქტობრივი დასაბუთება პრაქტიკულად განაპირობებს სამართლებრივ შეფასებას.

მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო პალატის გადაწყვეტილებით დადგინდა რა ს. ნ- შვილისთვის გადაცემული ნივთის გაუმჯობესების იურიდიული ფაქტი, შპს «ცენტრის» მიერ ნივთის გაუმჯობესებისათვის განხორციელებული კონკრეტული მოქმედებები (სარემონტო სამუშაოები, ღობის, ეზოს მოწყობა და სხვა) და გახარჯული თანხების ზუსტი ოდენობა დასაბუთებული არ არის. სააპელაციო პალატა ზოგადად მიუთითებს ამ სამუშაოებზე ისე, რომ თავის დასკვნას საქმეში არსებული მტკიცებულებებით არ ადასტურებს. აღნიშნული გამორიცხავს შესაძლებლობას, შემოწმდეს სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოებების

საფუძვლიანობა. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას, იმსჯელოს მხარეთა მიერ სადავოდ გამხდარი ნივთის გაუმჯობესების ღირებულების განსაზღვრისა და მოდავე მხარისათვის დაკისრებული თანხის კანონიერებაზე.

საქმის ხელახლა განმხილველმა სასამართლომ საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოებები უნდა დაადგინოს საქმეში არსებული მტკიცებულებების საფუძველზე და მხოლოდ მტკიცებულებათა სრული და ობიექტური გამოკვლევის შედეგად მიიღოს დასკვნა ამა თუ იმ გარემოების არსებობა-არარსებობის თაობაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

დაადგინა:

შპს «ცენტრისა» და ს. ნ-შვილის საკასაციო საჩივრები დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 20 . . წ. . . ივნისის გადაწყვეტილება ნივთის გაუმჯობესებაზე თანხის დაკისრებისა და სახელმწიფო ბაჟის განაწილების ნაწილში და საქმე ამ ნაწილში ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

№ას-1157-1302-
24 მარტი, 2009 წელი
თბილისი

**სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების
საქმეთა პალატა**

საქმის განხილვის ფორმა – ზეპირი მოსმენის გარეშე
კერძო საჩივრის ავტორი – ჰ. . . .
წარმომადგენელი – ა. ბარამიძე
მოწინააღმდეგე მხარე – ა. . . . , ა. წ-ელი
გასაჩივრებული განჩინება – თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატის 20. . წ. . . დეკემბრის განჩინება
კერძო საჩივრის ავტორის მოთხოვნა – გასაჩივრებული განჩინების გაუქმება.
დავის საგანი – გარიგების ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 20. . წ. . . ივლისის
გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა ჰ. . . .ს სარჩელი ა. წ-ელისა და ა. . . .ს მიმართ 2004 წ.
18 სექტემბრის წილის გასხვისების ხელშეკრულების ბათილად ცნობის შესახებ.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა ჰ. . . .მ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 20. . წ. . .
ოქტომბრის განჩინებით აპელანტს სააპელაციო საჩივარში არსებული ხარვეზის შესავსებად
განესაზღვრა საპროცესო ვადა 10 დღით. 2008 წ. 1 დეკემბერს ჰ. . . .მ განცხადებით
მიმართა სასამართლოს, სადაც აღნიშნა, რომ სარჩელის საგანს წარმოადგენს მხოლოდ 2004 წ.
18 სექტემბრის წილის გასხვისების ხელშეკრულების ბათილად ცნობა. რის გამოც,
საფუძველს მოკლებულია სასამართლოს მითითება იმის შესახებ, რომ სარჩელის
დაკმაყოფილება უკავშირდება შპს „საქართველოს თამბაქო საწარმოების“ საწესდებო
კაპიტალში 90%-იანი წილის მოსარჩელისათვის დაბრუნებას. აპელანტი მიიჩნევდა, რომ
სარჩელის საგანს წარმოადგენს მოსარჩელისათვის ქონების გადაცემა ან მიწოდება.

პალატამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

აპელანტის მიერ სააპელაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი იქნა 150 ლარი. სააპელაციო პალატის 20. . წ. . . ოქტომბრის განჩინებით აპელანტს დაევალა: 1) სააპელაციო საჩივრის ღირებულების განსაზღვრა და მითითება, სადავო წილის საბარო ღირებულების შესაბამისად და 2) ამ ღირებულების 4%-ის ოდენობით სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენა უკვე გადახდილი 150 ლარის გათვალისწინებით.

2008 წ. 24 ოქტომბერს სააპელაციო სასამართლოში წარმოდგენილ იქნა დამატებით 10 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

სააპელაციო პალატის 20. . წ. . . ოქტომბრის განჩინებით აპელანტს გაუგრძელდა ხარვეზის შესავსებად დანიშნული ვადა 5 დღით.

2008 წ. 12 ნოემბერს აპელანტმა განცხადებით მიმართა სააპელაციო სასამართლოს იმაზე მითითებით, რომ დავის საგნის ღირებულება განსაზღვრული უნდა ყოფილიყო სსსკ-ის 41-ე მუხლის პირველი ნაწილის „კ“ ქვეპუნქტის შესაბამისად (4000) ლარით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წ. 14 ნოემბრის განჩინებით აპელანტს კვლავ გაუგრძელდა ხარვეზის შესავსებად განსაზღვრული ვადა 5 დღით და დაევალა სახელმწიფო ბაჟის გადახდა შპს „საქართველოს თამბაქოს წარმოების“ საწესდებო კაპიტალში სადავო 90%-იანი წილის ღირებულების 4%-ის ოდენობით, არაუმეტეს 5000 ლარისა.

პალატამ გაიზიარა აპელანტის მითითება იმის შესახებ, რომ მოცემულ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს მხოლოდ 2004 წ. 18 სექტემბრის წილის გასხვისების ხელშეკრულების ბათილად ცნობა, თუმცა ხელშეკრულების ბათილად ცნობის მიმართ მოსარჩელის იურიდიული ინტერესი მიმართულია ისეთი ქონებრივი უფლების დაცვისაკენ, რომელსაც საბაზრო ღირებულება გააჩნია და ამასთან, ამ ღირებულების განსაზღვრა, შესაძლებელია.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 20. . წ. . . დეკემბრის განჩინებით ჰ. . . .ს სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი.

აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ჰ. . . .მ.

კერძო საჩივრის ავტორის აზრით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა და გამოიყენა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 41-ე მუხლის პირველი ნაწილის „კ“ ქვეპუნქტი და უსაფუძვლოდ მიიჩნია, რომ ბატონმა ჰ. . . .მ არ შეავსო ხარვეზი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კერძო საჩივრის ავტორმა მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა გაეცნო საქმის მასალებს, განიხილა კერძო საჩივარი და თვლის, რომ კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 20. . წ. . . დეკემბრის განჩინებით ჰ. . . .ს სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი ხარვეზის შეუუსებლობის გამო.

საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა საქმის გარემოებას.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 39-ე მუხლის 1-ლი ნაწილის “ბ” ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო ბაჟის ოდენობა სააპელაციო საჩივრისათვის შეადგენს დავის საგნის ღირებულების 4%-ს. მოცემულ შემთხვევაში დავის საგნის ფასი უნდა განისაზღვროს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 41-ე მუხლის 1-ლი ნაწილის “ბ” ქვეპუნქტის შესაბამისად, რადგან აპელანტის მოთხოვნას წარმოადგენს წილის ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილობა, რომლის დაკმაყოფილების შემდეგაც აპელანტს წარმოეშობა სადავო წილის დაბრუნების მოთხოვნის უფლება. სწორედ ამისკენ არის მიმართული აპელანტის იურიდიული ინტერესი. ამ მოთხოვნას კი საბაზრო ღირებულება გააჩნია და რადგანაც მისი განსაზღვრა შესაძლებელია, შესაბამისად დავის საგნის ფასიც იქნება მისი ღირებულება.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის ავტორის განმარტებას იმის თაობაზე, რომ დავის საგნის ღირებულება განსაზღვრული უნდა ყოფილიყო სსსკ-ის 41-ე მუხლის პირველი ნაწილის „კ“ ქვეპუნქტის შესაბამისად (4000) ლარით, რადგან მოცემული დავა არ წარმოადგენს ისეთ კატეგორიას, სადაც შეუძლებელია დავის საგნის ფასის განსაზღვრა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ არ არსებობს კერძო საჩივრის დაკმაყოფილებისა და გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 41-ე, 284-ე 419-ე, 420-ე მუხლებით და

დაადგინა:

3. . . .ს კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 20. . . წ. . .
დეკემბრის განჩინება დარჩეს უცვლელად;

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

№ას-771-986-08
24 მარტი, 2009 წ
ქ. თბილისი

**სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების
საქმეთა პალატა**

საქმის განხილვის ფორმა – ზეპირი განხილვის გარეშე

კასატორი – მ. ო-შვილი (მოსარჩელე)

მოწინააღმდეგე მხარეები – სს „ტუბერკულოზის და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი“, სს „აღ. წულუკიძის სახელობის უროლოგიის ეროვნული ცენტრი“, შპს „აკადემიკოს ნიკოლოზ ყიფშიძის სახელობის ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკა(მოპასუხე)

გასაჩივრებული განჩინება – თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 20. . . წ. . . ივნისის გადაწყვეტილება

კასატორის მოთხოვნა – გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღება

დავის საგანი – მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

მ. ო-შვილმა სარჩელი აღძრა თბილისის გლდანი-ნამძალადევის რაიონულ სასამართლოში მოპასუხეების სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრის“, სს „ა.წულუკიძის სახელობის უროლოგიის ეროვნული ცენტრის“ და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიკოს ნ. ყიფშიძის სახელობის ცენტრალური კლინიკის უნივერსიტეტის აკადემიკოს ნ. ყიფშიძის სახელობის ცენტრალური

კლინიკის მიმართ“, რომლითაც მოითხოვა მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურება 100 000 ლარის ოდენობით.

თბილისის დიდუბა-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 27 მაისის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა მ. ო-შვილმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 20. . . წ. . . ივნისის გადაწყვეტილებით მ. ო-შვილის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ.

პალატამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

მ. ო-შვილი თსსუ აკადემიკოს ნ. ყიფშიძის სახელობის კლინიკური საავადმყოფოს უროლოგიის სექციაში მკურნალობდა 1991 წლის 11 სექტემბრიდან 30 სექტემბრამდე, სადაც მას ჩაუტარდა მარცხენა სათესლე ჯირკვლის ამოკვეთა (ორქიექტომია).

მ. ო-შვილმა 1996 წლის 13 მარტს სამკურნალოდ მიმართა უროლოგიის ეროვნული ცენტრის პირველ უროლოგიურ განყოფილებას. ჰოსპიტალიზაციის დროს დაუდგინდა დიაგნოზი: შარდკენჭოვანი დაავადება, თირკმლის ჭვალი, კლინიკური კვლევებით მარცხენა მხარეს აღმოჩნდა შარდის პასაჟის დარღვევა, რომლის აღდგენის მიზნით განხორციელდა მარჯვენამხრივი პერკუნტალური ნეფროსტომია, ჩაუტარდა ცისტოსკოპი-ბიოფსია. მორფოლოგიური კვლევით დადგინდა შარდის ბუშტის ეპითელიური ზომიერი დისპლაზია, ლორწვევა შრეში – ანთებით უბნები.

1996 წლის 5 აპრილს ავადმყოფი გადაყვანილი იქნა ფტიზიატრიისა და ჰულმონოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის უროლოგიის განყოფილებაში, სადაც ის მკურნალობდა 28 მაისამდე. კომპლექსური გამოკვლევებით დადგინდა თირკმლების კავერნოზული ტუბერკულოზი, შარდის ბუშტის ტუბერკულოზი, მარჯვენამხრივი პერიურეთრიტი, პოსტატის ტუბერკულოზი.

1996 წლის 14 სექტემბრიდან 26 სექტემბრამდე B ჰეპატიტის გამო მ. ო-შვილი მკურნალობდა ინფექციური პათოლოგიის ცენტრში.

1999 წლის 2 დეკემბერს მ. ო-შვილი განმეორებით მოთავსდა უროლოგიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის პირველ უროლოგიურ განყოფილებაში. ჩატარებული კლინიკურ-რენტგენოლოგიური კვლევებით დადასტურდა შარდ-სასქესო ორგანოების ტუბერკულოზი და დაენიშნა ანტიტუბერკულოზური მკურნალობის გაგრძელება. მკურნალობის შემდგომ,

2000 წლის 25 იანვარს, ავადმყოფი გაეწერა კლინიკიდან დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში.

2000 წლის 23 თებერვალს მ. ო-შვილი განმეორებით იქნა ჰოსპიტალიზებული უროლოგიის ინსტიტუტში მარჯვენამხრივი ნეფროსტომიის ამოვარდნის გამო, სადაც მას ჩაუტარდა კონსერვატული მკურნალობა და 2000 წლის 28 თებერვალს ავადმყოფი გაეწერა კლინიკიდან.

მ. ო-შვილი 2000 წლის 6 მარტიდან 12 ივნისამდე მკურნალობდა ტუბისტიტუტში.

2000 წლის 4 დეკემბრიდან 2001 წლის 3 ივნისამდე მ. ო-შვილი მკურნალობდა ტუბერკულოზისა და ჰულმონოლოგიის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში, სადაც ჩაუტარდა ტუბერკულოზის საწინააღმდეგო მკურნალობის მორიგი კურსი და საკონტროლო გამოკვლევებებ ავადმყოფს დაუდგინდა მარჯვენა თირკმლის ფიბროზული კავერნოზული ტუბერკულოზი (უფუნქციო თირკმელი), მარჯვენამხრივი

ბუპერკულოზური ურეთრიტი შარდსაწვეთის ტუბერკულოზი, ქრონიკული პიელონეფრიტი, თირკმლის ქრონიკული I-II ხარისხის უკმარისობა, რენული ჰიპერტენზია. გადაწყდა მარჯვენამხრივი ნეფრექტომიის ჩატარება.

2001 წლის 9 მარტს ავადმყოფს ჩაუტარდა ოპერაცია – მარჯვენამხრივი სუბკაფსულური ნეფრექტომია (ამოღება).

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლინიკის უროლოგიურ განყოფილებაში მ. ო-შვილი განმეორებით მოთავსდა 2001 წლის 4 მაისს მარჯვენამხრივი ნეფრესტომიის შემდეგ ჩამოყალიბებული ჩირქმდენი ფისტულის გამო. კლინიკაში მოთავსებისთანავე ვენური ნარკოზის ქვეშ ჩირქოვანი ფისტულა ამოიკვეთა. 18 მაისს ავადმყოფი გაეწერა კლინიკიდან მეორეულად მიმდინარე შეხორცებადი ჭრილობით და დაენიშნა ამბულატორიული მკურნალობა.

პალატამ მიიჩნია,, რომ მას შემდეგ რაც მ. ო-შვილს თსსუ აკადემიკოს ნ. ყიფშიძის სახელობის კლინიკური საავადმყოფოს უროლოგიის განყოფილებაში დაუდგინდა სათესლე ჯირკვლის ტუბერკულოზი, ის აყვანილი უნდა ყოფილიყო დისპანსერულ მეთვალყურეობაზე და უნდა ჩატარებოდა შესაბამისი მკურნალობა. სამედიცინო დაწესებულება ვალდებული იყო პაციენტისათვის დროულად მიეწოდებინა ინფორმაცია დიაგნოზისა და ანტიტუბერკულოზური მკურნალობის ჩატარების აუცილებლობის შესახებ. საქმის მასალებით არ დგინდება, რომ მ. ო-შვილი ინფორმირებული იყო აღნიშნულის

თაობაზე. ექსპერტის დასკვნის შესაბამისად, აღნიშნულმა უარყოფითი გავლენა იქონია მის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე და მკურნალობის ეფექტურობაზეც.

პალატამ მიაჩნია, რომ სამედიცინო დაწესებულებას უნდა გამოეყენებინა პროფესიული გულისხმიერება, კერძოდ, უზრუნველყო პაციენტი დროული ინფორმაციით მისი ავადმყოფობის შესახებ, რათა თავიდან ყოფილიყო აცილებული მისი შემდგომი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება.

პალატამ მ. ო-შვილის სარჩელი დაწესებულების მიმართ მორალური ზიანის ანაზღაურების ნაწილში დაკმაყოფილა.

პალატამ განმარტა, რომ არც სააპელაციო საჩივარში და არც სარჩელში მოთხოვნა მატერიალური ზიანის ანაზღაურების ნაწილში არ არის დაზუსტებული.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 20. . წ. . . ივნისის გადაწყვეტილება საკასაციო საჩივრით გაასაცვირა მ. ო-შვილმა.

კასატორის განმარტებით საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, იგი ითხოვს 100 000 ლარის მორალური ზიანისათვის. ასევე ვინაიდან სახეზეა მატერიალური ზიანის დაკისრებისათვის კანონით გათვალისწინებული წინაპირობები, კერძოდ მართლსაწინააღმდეგო მოქმედება, მიზეზობრივი კავშირი მართლსაწინააღმდეგო მოქმედებასა და ზიანს შორის და ზიანის მიმყენებლის ბრალი, რაც გამოიხატება არასწორი დიაგნოზის დასმაში, მოითხოვს მოპასუხეებს დაეკისროს მის მიერ დღემდე გაწეული ყველანაირი მატერიალური ხარჯების ანაზღაურება, რაც მკურნალობასა და მოვლა-პატრონობას დასჭირდა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე კასატორი ითხოვს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებას და ახალი გადაწყვეტილების მიღება

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ განიხილა საქმის მასალები, განიხილა საკასაციო საჩივრის საფუძვლები და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის თანახმად საკასაციო სასამართლო გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას ამოწმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში. საკასაციო სასამართლოს არ შეძლია თავისი ინიციატივით შეამოწმოს საპროცესო დარღვევები, გარდა 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტებისა.

საკასაციო საჩივარში შინაარსობრივად შეიცავს მ. ო-შვილის ავადმყოფობების აღწერას მასში ასევე მოყვანილია სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოება, რომ მ. ო-შვილს ჯერ კიდევ 1991 წელს ჩაუტარდა სათესლე ჯირკვლის ტუბერკულოზი, რის გამოც ამ მიმართებით სპეციფიკური ანტიტუბერკულოზური თერაპია 1996 წლამდე არ ჩატარებულა. აღნიშნულმა კი უარყოფითი ზეგავლენა იქონია ავადმყოფის შემდგომ ჯანმრთელობის მდებარეობასა და მკურნალობის ეფექტურობაზე. როგორც კასატორი უთითებს იგი სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად ითხოვს 100000 ლარის დაკისრებას მორალური ზიანისათვის. სააპელაციო პალატამ აღნიშნული ნორმის საფუძველზე დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა 10000 ლარის ოდენობით. კასატორი კი არ უთითებს რატომ არ ეთანხმება სასამართლოს მიერ დაკისრებული თანხის ოდენობას.

საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ მორალური ზიანის ანაზღაურების მიზანი არაა დარღვეული უფლების სრულყოფილი რესტიტუცია, რადგან მიყენებულ ზიანს ფულადი ეკვივალენტი არ გააჩნია. მაგრამ ამასთან, შეუძლებელია კომპენსაციის ოდენობა უსაზღვროდ განისაზღვროს. ბუნებრივია მ. ო-შვილმა მიიღო დიდი სულიერი ტკივილი ხანგრძლივი და მეტად რთული ავადმყოფობის გამო. მაგრამ სააპელაციო სასამართლომ აღნიშნულში დაადგინა მხოლოდ თსსუ აკადემიკოს ნ. ყიფშიძის სახელობის კლინიკური საავადმყოფოს ბრალი და ზიანის ოდენობაც 10 000 ლარის ოდენობით განსაზღვრა. საკასაციო საჩივარში კი აღნიშნულთან დაკავშირებით წარმოდგენილი არ არის დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია, როგორც ამას ითვალისწინებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლი და არ უთითებს აღნიშნული შედეგის საწინააღმდეგოდ არც ფაქტობრივ და არც სამართლებრივ საფუძველებს. ასევე მიზანშეწონილობის ფარგლებზეც თუ რატომ უნდა დაეკისროს მოწინააღმდეგე მხარეს ზიანის ანაზღაურება უფრო მეტი ოდენობით.

რაც შეეხება კასატორის მითითებას მატერიალურ ზიანთან მიმართებაში, იგი არ შეიცავს საკასაციო საჩივრის საფუძველებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის შესაბამისად. სააპელაციო სასამართლოს განმარტავს, რომ არც სარჩელში და არც საჩივარში არ არის მითითებული მოსარჩელის მიერ გაწეული ხარჯების ოდენობა. აღნიშნული არ დგინდება საქმის მასალებითაც. ამის საწინააღმდეგო მოსაზრებაზე ვერ უთითებს კასატორი. ვერ უთითებს იმ საფუძველებსაც თუ რატომ უნდა გაუქმდეს გადაწყვეტილება და დაკმაყოფილდეს საკასაციო საჩივარი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ შეუძლებელია დაკმაყოფილდეს საკასაციო საჩივარი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 104-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სასამართლო არ მიიღებს, არ გამოითხოვს ან საქმიდან ამოიღებს მტკიცებულებებს, რომლებსაც საქმისათვის მნიშვნელობა არა აქვთ.

მოცემულ შემთხვევაში მოქალაქე ქეთევან ჩანტლაძის მიერ 2009 წლის 02 თებერვალს წარმოდგენილი იქნა ღია ბარათი თანდართულ მტკიცებულებებთან ერთად. პალატას მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარზე თანდართული მასალები ამოღებული უნდა იქნეს საქმიდან და უნდა დაუბრუნდეს კასატორს, ვინაიდან საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას შეაფასოს საკასაციო ინსტანციის სასამართლოში წარმოდგენილი მტკიცებულებები.

სარეზოლუციო ნაწილი :

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

მ. ო-შვილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 20. . წ. . . ივნისის გადაწყვეტილება.

სამოქალაქო საქმიდან №ას-771-986-08 ამოღებული იქნას საქმის მასალები (ს.ფ.592-603) და დაუბრუნდეს კასატორს.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საქმე №ას-760-976-08
10 თებერვალი, 2009 წ.
ქ.თბილისი

**სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების
საქმეთა პალატა**

კასატორები – მ. და გ. ა-იები (მოპასუხეები)

წარმომადგენ. – ქ.ბახტაძე, დ.გერმანოზაშვილი

მოწინააღმდეგე მხარეები – ნ. ქ-შვილი (მოსარჩელე)

წარმომადგენ. – ლ. იოსელიანი

გასაჩივრებული გადაწყვეტილება – თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 20 . . წ. .. მაისის გადაწყვეტილება

კასატორის მოთხოვნა – გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება

დავის საგანი – უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა, გარიგების ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

ნ. ქ-შვილმა სარჩელი აღძრა სასამართლოში მ., გ. და შ. ა-იების მიმართ ბინიდან გამოსახლების თაობაზე შემდეგი საფუძვლებით: ნ. ქ-შვილმა მ., გ. და შ. ა-იებისაგან 20 . . წ. . . ივლისს სანოტარო წესით გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე 2000 ლარად შეიძინა ქ. თ., თ. დ. მე- . . მ/რ-ში პირველ კვარტალში, მე-15 კორპუსში მდებარე №1 ბინა. აღნიშნული ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე 20 . . წ. . . ივლისს საჯარო რეესტრში ბინა დარეგისტრირდა ნ. ქ-შვილის სახელზე. ამდენად, მოსარჩელემ საკუთრების უფლება სადავო ბინაზე შეიძინა სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლის დაცვით. არაერთგზის გაფრთხილებისა და მოთხოვნის მიუხედავად, მოპასუხეებმა უარი განაცხადეს ბინის გამოთავისუფლებასა და მისი მოსარჩელისათვის გადაცემაზე.

მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს და შეგებებული სარჩელით მოითხოვეს 20 . . წ. . . ივლისის ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა შემდეგი დასაბუთებით: სადავო ნასყიდობის ხელშეკრულება გაფორმდა იძულებისა და მუქარის გზით. მ. და გ. ა-იებთან მივიდა ვინმე მ. მ-შვილი, რომელმაც განუმარტა, რომ მოპასუხეთა შვილს, ზ. ა-იას ჰქონდა

მისი ვალი, რომლის უზრუნველსაყოფადაც მოპასუხეებს უნდა გადაეფორმებინათ კუთვნილი ბინა. სესხის დაბრუნების შემთხვევაში სადავო უძრავი ნივთი დაუბრუნდებოდათ უკან. სადავო გარიგება დაიდო მოსაჩვენებლად, ისე, რომ რეალურად ბინის გასხვისების სურვილი მხარეს არ ჰქონდა და არც შესაბამისი ღირებულება ნ.ქ-ში მოპასუხეთათვის არ გადაუხდია.

ქ.თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონული სასამართლოს 20 . . წ. . . ნოემბრის გადაწყვეტილებით ნ. ქ-შილის სარჩელი დაკმაყოფილდა, შ., გ. და მ. ა-იები ქ.თ., თ. დ. მე- . . მ/რ-ის პირველი კვარტლის მე-15 კორპუსში მდებარე №1 ბინიდან გამოსახლდნენ თანმხლებ პირებთან ერთად, შეგებებული სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც მ. და გ. ა-იებმა გაასაჩივრეს სააპელაციო წესით.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 20 . . წ. . . მარტის გადაწყვეტილებით რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება გაუქმდა, ნ. ქ-შილის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, მ. და გ. ა-იების სარჩელი დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი ნ. ქ-შილისა და მ., გ. და შ. ა-იებს შორის გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულება.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ნ. ქ-შილმა გაასაჩივრა საკასაციო წესით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 20 . . წ. . . ოქტომბრის განჩინებით გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და საქმე დაუბრუნდა იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 20 . . წ. . . მარტის გადაწყვეტილებით მ. და გ. ა-იების სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და ნ. ქ-შილის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, მ., გ. და შ. ა-იები სადავო ბინიდან გამოსახლდნენ, ხოლო შეგებებული სარჩელი არ დაკმაყოფილდა შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო სასამართლომ დაადგინა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებანი: 20 . . წ. . . ივლისს მხარეებს, ერთი მხრივ, ნ. ქ-შილისა და მეორე მხრივ, მ., გ. და შ. ა-იებს შორის, დაიდო ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზე ქ.თ., თ. დ. მე- . . მ/რ-ის პირველი კვარტალის მე-15 კორპუსში მდებარე №1 ბინის მესაკუთრედ საჯარო რეესტრში აღირიცხა ნ. ქ-შილი. ზ. ა-ია, რომელიც გარკვეული პერიოდი ცხოვრობდა რუსეთში, 19 . . წლიდან იცნობდა მ. მ-შილს და მასთან ერთად აწარმოებდა ბიზნესს. ბინის ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის მოთხოვნით მ., გ. და შ. ა-იებს სასამართლოსათვის 20 . . წ. . . ოქტომბრამდე არ მიუმართავთ.

ნ. ქ-შვილის მაზლს – მ. მ-შვილს, ჰქონდა მისი რძლის ვალი 5000 აშშ დოლარის ოდენობით. ნ. ქ-შვილი დასთანხმდა მ.მ-შვილის წინადადებას, ვალის დაბრუნების ნაცვლად, სადავო ბინის გადაფორმების შესახებ. ნ. ქ-შვილი და მ., გ. და შ. ა-იები ხელშეკრულების დადებამდე ერთმანეთს არ იცნობდნენ. მ., გ. და შ. ა-იების შეგებებული სარჩელის, 20 . . წ. . . ნოემბრის სასამართლოს სხდომაზე მ. ა-იას განმარტების, სააპელაციო სასამართლოში აპელანტების ახსნა-განმარტებების, ასევე, საკასაციო ინსტანციის სასამართლოში წარდგენილი შესაგებლის თანახმად, სააპელაციო სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია, რომ ზ. ა-იასა და მ. მ-შვილს შორის არსებობდა სასესხო ურთიერთობა და მოცემული სამოქალაქო დავის მხარეებს შორის დაიდო არა ნასყიდობის, არამედ სესხიდან წარმოშობილი ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ მხარეთა ახსნა-განმარტებების საფუძველზე ჩათვალა, რომ ნასყიდობის ხელშეკრულებით დაიფარა მხარეებს შორის არსებული სხვა (სასესხო) ვალდებულება. პირველი ინსტანციის სასამართლოში დაკითხული მოწმეების – დ. ო-ძის, ს. ფ-ძის, თ. კ-იას ჩვენებებით სასამართლომ დაადგინა, რომ აპელანტებს პერიოდულად აკითხავდნენ და სთხოვდნენ ვალის დაბრუნებას. სააპელაციო სასამართლომ საქმის მასალებისა და მოწმეთა ჩვენებების ანალიზით დაასკვნა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლით დადგენილი წესით დადასტურებული არ არის მართლსაწინააღმდეგო მიზნითა და საშუალებათა გამოყენებით მყიდველისა და მისი ახლობლების მხრიდან გამყიდველის იძულება გარიგების დასადებად, ვინაიდან არც ერთი მოწმის ჩვენებით არ დგინდება, რომ მ. მ-შვილი ა-იების ოჯახზე რაიმე ზეწოლას ახორციელებდა. არც ერთი მოწმე არ არის ა-იების ოჯახის მიმართ მუქარისა და შეურაცხყოფის უშუალო მომსწრე, არამედ, ა-იების გადმოცემით, იციან, რომ ზ. ა-იას ვალის გამო იძულებული გახდნენ გაეფორმებინათ ბინის ნასყიდობის ხელშეკრულება. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 85-ე-88-ე მუხლებით, გაითვალისწინა აპელანტთა ასაკი, ცხოვრებისეული გარემოებები და ჩათვალა, რომ მოცემულ შემთხვევაში, მოწმეთა ჩვენებებით არ დგინდება უშუალოდ რა სახის იძულება განხორციელდა, შეეძლო თუ არა მას თავისი ხასიათით რაიმე გავლენა მოეხდინა პირზე და ეფიქრებინა, რომ მის პიროვნებას ან ქონებას რეალური საფრთხე ემუქრება. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ აპელანტის მიერ სადავო გარემოებების დასადასტურებლად მითითებული მტკიცებულება – მოწმეთა ჩვენებები არ წარმოადგენს ნასყიდობის ხელშეკრულების გამაბათილებელ მტკიცებულებას. სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 477-ე მუხლის პირველი ნაწილით და დაადგინა, რომ

ნ. ქ-შვილს, მ., გ. და შ. ა-იებისათვის ბინის ღირებულების საფასური არ გადაუხდია. სამოქალაქო კოდექსის 56-ე მუხლის პირველი ნაწილის, მხარეთა ახსნა-განმარტებებისა და მოწმე ლ. ც-შვილის ჩვენების საფუძველზე სააპელაციო სასამართლომ დასაბუთებულად მიიჩნია მსჯელობა იმის თაობაზე, რომ სადავო ნასყიდობის ხელშეკრულება წარმოადგენს თვალთმაქცურ გარიგებას, რომლითაც დაფარულ იქნა სხვა სესხის გარიგება და ამგვარი შესრულებით შეწყდა სასესხო ურთიერთობა. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება, რომ წერილობითი სავალო საბუთის არარსებობის პირობებში, მხოლოდ მოწმეთა ჩვენებით, ვალის დადასტურება დაუშვებელ.. სააპელაციო პალატამ საქმის მასალებით დაადგინა, რომ მ. ა-იას მიერ სასამართლოსათვის მიცემული განმარტებების თანახმად, მის შვილს, ზ. ა-იას ჰქონდა მ. მ-შვილის ვალი, რისი ოდენობაც არ დაუკონკრეტებია. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 131-ე მუხლის შესაბამისად სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ მხარეთა შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულებით დაიფარა სხვა გარიგება. რაც შეეხება მ. მ-შვილის მხრიდან, ნასყიდობის ხელშეკრულების დადების მიზნით, ა-იების იძულებას, აღნიშნული გარემოება სათანადო დადასტურებას მოითხოვს, რაც კონკრეტულ შემთხვევაში საქმის მასალებით არ დგინდება. სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 427-ე, 428-ე მუხლებით და ჩათვალა, რომ მ. მ-შვილი ერთდროულად წარმოადგენს ნ. ქ-შვილის მოვალეს და ზ. ა-იას მიმართ კრედიტორს. შესაბამისად, ა-იების მიერ ნ. ქ-შვილისათვის მ. მ-შვილის ვალის სანაცვლოდ ბინის გადაცემით შეწყდა ვალდებულებითი ურთიერთობა, ერთი მხრივ, ზ. ა-იასა და მ. მ-შვილს, ხოლო მეორე მხრივ, მ-შვილსა და ნ. ქ-შვილს შორის. მიუხედავად იმ გარემოებისა, რომ ვალდებულება უშუალოდ მოვალე ზ. ა-იას არ შეუსრულებია, ასევე აღნიშნული შესრულება მიიღო არა კრედიტორმა მ. მ-შვილმა, არამედ ნ. ქ-შვილმა, სასამართლომ მიიჩნია, რომ კრედიტორთა სასარგებლოდ ვალდებულება შესრულდა კანონის მოთხოვნათა დაცვით. პალატის მითითებით, მოცემულ შემთხვევაში არც ვალდებულების ბუნებიდან და არც ხელშეკრულებიდან არ გამომდინარეობს, რომ მოვალეს ვალდებულება პირადად უნდა შეესრულებინა. საქმის მასალებით კი დადგენილ., რომ მ-შვილმა თვითონ შესთავაზა ქ-შვილს ვალდებულების შესრულების მიღება. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ ქ-შვილმა ვალდებულების შესრულება მიიღო კანონის დაცვით.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება მ. და გ. ა-იებმა გაასაჩივრეს საკასაციო წესით, მოითხოვეს მისი გაუქმება და საქმის დაბრუნება იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად შემდეგი საფუძველებით: სააპელაციო სასამართლომ სათანადოდ არ შეაფასა

შემდეგი გარემოებანი: ნ. ქ-შვილი თავისი სარჩელის საფუძვლად მიუთითებდა იმას, რომ მოპასუხეთაგან 2000 ლარად შეიძინა სადავო ბინა და დარეგისტრირდა მის მესაკუთრედ. მ. და გ. ა-იები შეგებებული სარჩელით აღნიშნული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილობას ამყარებდნენ გარიგების მხარეთა ნების გამოვლენის ნაკლზე, რადგან ხელშეკრულების დადებამდე არ იცნობდნენ ნ.ქ-შვილს, რეალურად გარიგება ბინის გაყიდვას არ ითვალისწინებს, შესაბამისად, მათ არც სადავო ნივთი გადაუციათ მყიდველისათვის და არც მისი საფასური მიუღიათ. ფაქტობრივად, ნასყიდობა დაიდო მ. და გ. ა-იების შვილის – ზ. ა-იას მიერ ნ. ქ-შვილის ნათესავის – ზურაბ მ-შვილის მიმართ არსებული სესხის უზრუნველსაყოფად ზ.მ-შვილის მხრიდან იძულების, მუქარისა და შანტაჟის გამო. სააპელაციო სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3-4, 102-ე, 105-ე და 381-ე მუხლების მოთხოვნები. სასამართლომ დაადგინა, რომ ნ.ქ-შვილსა და მ., გ., შ. ა-იებს შორის ნასყიდობის ხელშეკრულება არ დადებულა, სადავო გარიგება, სამოქალაქო კოდექსის 56-ე მუხლის შესაბამისად, მოჩვენებითია და მისი მეშვეობით შესრულდა სხვა ვალდებულება, რა დროსაც გადაწყვეტილება დაასაბუთა სამოქალაქო კოდექსის 371-ე, 373-ე, 427-ე და 428-ე მუხლებით, რომლებიც ნ.ქ-შვილს საერთოდ არ მიუთითებია. სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 623-624-ე მუხლები, როდესაც სათანადო მტკიცებულების არარსებობის პირობებში ზ.ა-იასა და მ.მ-შვილს შორის სესხის ხელშეკრულების არსებობა დადგენილად ჩათვალა. სააპელაციო პალატამ არ გაითვალისწინა საქმის განხილვისას ზ.ა-იას განმარტება, რომ რუსეთში ცხოვრებისას საერთო საქმიანობას ეწეოდა ზ.მ-შვილთან ერთად, თუმცა სადავო გარიგების დადებისას მისი ვალი არ ჰქონდა. ამასთან, სესხის ხელშეკრულების არსებობის შემთხვევაშიც სასამართლოს უნდა გამოერკვია მისი პირობები, ნასესხები თანხის ოდენობა, მხარეთა შორის სასესხო ურთიერთობის წარმოშობის დრო, ვისგან შეიტყვეს მოპასუხეებმა ზ.ა-იას ვალის შესახებ, ამ უკანასკნ.ს მითითებით გაუფორმეს ნ.ქ-შვილს ერთადერთი ბინა თუ საკუთარი ინიციატივით, ნასყიდობის ხელშეკრულების შედგენის მომენტისათვის რა ოდენობის სესხი ჰქონდა ზ.ა-იას მ.მ-შვილის მიმართ და რა ღირებულების უძრავი ნივთი გადაეცა მის სანაცვლოდ მოსარჩელეს, როდის მოხდა მრავალმხრივი ნების გამოვლენა მოპასუხეთა ბინის გადაცემით ზ.ა-იას ვალის გაქვითვის თაობაზე, მაშინ, როცა მოსარჩელე და მოპასუხეები 20 . . წ. . . ივლისის ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებამდე ერთმანეთს არ იცნობდნენ, ხოლო მესამე პირები – ზ.ა-ია და მ.მ-შვილი სადავო ხელშეკრულების მხარეებს არ წარმოადგენდნენ. მეტიც, ზ.ა-ია ნასყიდობის ხელშეკრულების დადებისას საქართველოში საერთოდ არ

იმყოფებოდა. სააპელაციო პალატას ასევე არ გამოურკვევია, შეესაბამებოდა თუ არა სადავო ნასყიდობის საგნის რეალურ ღირებულებას ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასი – 2000 ლარი და 2000 ლარად შეფასებული ნივთის ნ. ქ-შვილისათვის გადაცემით როგორ უნდა დაფარულიყო ორი სხვადასხვა ფულადი ვალდებულება, მაშინ, როცა მ.მ-შვილის დავალ.ნება ნ. ქ-შვილის მიმართ, სასამართლოს მითითებით, შეადგენდა 5000 აშშ დოლარს, ხოლო ზ.ა-იას სესხის ოდენობა მ.მ-შვილის მიმართ არ დადგენილა. ვალის არსებობის დამადასტურებლად საქმეში არა თუ წერილობითი მტკიცებულება, არამედ მ.მ-შვილის განმარტებაც კი არ არის წარმოდგენილი. ზ.ა-იას სასესხო დავალ.ნების დასადასტურებლად სასამართლო შემოიფარგლა მხოლოდ ზ.ა-იას დედის განმარტებით.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად ცნო შემდეგი: 20 . . წ. . . ივლისს ნ. ქ-შვილსა და მ., გ. და შ. ა-იებს შორის დაიდო ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზე ქ.თ., თ. დ. მე- . . მ/რ-ის პირველი კვარტლის მე-15 კორპუსში მდებარე №1 ბინის მესაკუთრედ საჯარო რეესტრში აღირიცხა ნ. ქ-შვილი. ზ. ა-ია, რომელიც გარკვეული პერიოდი ცხოვრობდა რუსეთში, 19 . . წლიდან იცნობდა მ. მ-შვილს და მასთან ერთად აწარმოებდა ბიზნესს. ზ. ა-იასა და მ. მ-შვილს შორის არსებობდა სასესხო ურთიერთობა. მ. მ-შვილს ჰქონდა მისი რძლის, ნ. ქ-შვილის ვალი 5000 აშშ დოლარის ოდენობით. შვილი დასთანხმდა მ-შვილის წინადადებას, ვალის დაბრუნების ნაცვლად, სადავო ბინის გადაფორმების შესახებ. ბინის ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის მოთხოვნით მ., გ. და შ. ა-იებს სასამართლოსათვის 20 . . წ. . . ოქტომბრამდე არ მიუმართავთ.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საკასაციო საჩივრის საფუძვლები, შეამოწმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთება და მიაჩნია, რომ მ. და გ. ა-იების საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდეს და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის პირველი ნაწილის «ბ» ქვეპუნქტის თანახმად, აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულ., რომ მისი სამართლებრივი საფუძვლ.ნობის შემოწმება შეუძლებელ..

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო პალატამ სათანადოდ არ გამოიკვლ. საქმის გარემოებები, რის გამოც გასაჩივრებული გადაწყვეტილება დაუსაბუთებელ., კერძოდ:

უპირველესად, უნდა აღინიშნოს, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილით დადგენილი გარემოება ეწინააღმდეგება მიღებულ გადაწყვეტილებას, კერძოდ, სააპელაციო პალატამ შეაფასა რა სადავო ნასყიდობის ხელშეკრულება, დადგენილად მიიჩნია ის გარემოება, რომ იგი წარმოადგენს თვალთმაქცურ გარიგებას, რომლითაც დაიფარა სხვა გარიგება, კერძოდ, სესხის ხელშეკრულებას. ამასთან, გასაჩივრებული გადაწყვეტილებით სააპელაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა მ. და გ. ა-იების შეგებებული სარჩელი სადავო ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობაზე და ამ ხელშეკრულების საფუძველზე დააკმაყოფილა ნ. ქ-შვილის სარჩელი მოპასუხეთა ბინიდან გამოსახლების თაობაზე. ამდენად, სასამართლომ თვალთმაქცურ (ბათილ) გარიგებად შეფასებული ნასყიდობის ხელშეკრულება საფუძველად დაუდო სარჩელის დაკმაყოფილებას.

სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილით დაადგინა როგორც მ. ა-იას, ასევე გ. და შ. ა-იების უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა (გამოსახლება) ისე, რომ არანაირი შეფასება არ მიუცია გ. და შ. ა-იების მიერ სადავოდ გამხდარი ნასყიდობის ხელშეკრულების დადებისას მათი ნამდვილი ნების არარსებობაზე და შემოიფარგლა მხოლოდ მ. ა-იას ნების შემოწმებით.

სააპელაციო სასამართლომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 131-ე მუხლზე დაყრდნობით დაადგინა, რომ მ. ა-იას აღიარება, რომ მის შვილს, ზ. ა-იას ჰქონდა მ. მ-შვილის ვალი საკმარის საფუძველს წარმოადგენს დასკვნისათვის, რომ ა-იების მიერ შვილისათვის მ. მ-შვილის ვალის სანაცვლოდ ბინის გადაცემით შეწყდა ვალდებულებით – სასესხო ურთიერთობა ზ. ა-იასა და მ. მ-შვილს შორის.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო პალატის აღნიშნულ მსჯელობას შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 131-ე მუხლის მიხედვით, ერთი მხარის მიერ ისეთი გარემოების არსებობის ან არარსებობის დადასტურება (აღიარება), რომელზეც მეორე მხარე ამყარებს თავის მოთხოვნებსა თუ შესაგებელს, სასამართლომ შეიძლება საკმარის მტკიცებულებად ჩათვალოს და საფუძველად დაუდოს თავის გადაწყვეტილებას. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნული მუხლით გათვალისწინებულ აღიარებად მიიჩნია მ. ა-იას განმარტება სასამართლო სხდომაზე, რომ მის შვილს – ზ. ა-იას ჰქონდა მ. მ-შვილის ვალი.

მითითებული განმარტებისა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 131-ე მუხლის საფუძველზე სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ მხარეთა შორის ნასყიდობის ხელშეკრულებით დაიფარა სასესხო ურთიერთობა. უპირველესად, უნდა აღინიშნოს, რომ სესხის ხელშეკრულება იდება რა მხარეთა შორის, ამ ხელშეკრულების არსებობის აღიარება თვით ხელშეკრულების მხარეების – კრედიტორისა და მოვალის მიერ უნდა მოხდეს. სხვა პირის მიერ სესხის არსებობის დადასტურება წარმოადგენს ერთ-ერთ მტკიცებულებას სესხის ხელშეკრულების დადების დასადგენად და იგი საჭიროებს კანონით გათვალისწინებულ შემოწმებასა და შეფასებას.

ამასთან, მ. ა-იას მიერ ზ. ა-იას ვალის არსებობის დადასტურება ცალსახად არ ადგენს მ. ა-იას მიერ ზ. ა-იას ვალის გადახდის სურვილს. სამოქალაქო კოდექსის 371-ე მუხლის პირველი ნაწილის კპთანხმად, თუ კანონიდან, ხელშეკრულებიდან ან ვალდებულების ბუნებიდან არ გამომდინარეობს, რომ მოვალემ პირადად უნდა შეასრულოს ვალდებულება, მაშინ ეს ვალდებულება შეიძლება შეასრულოს მესამე პირმაც. აღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, ცალსახად შეიძლება დავასკვნათ, რომ მესამე პირები – მ., შ. და გ. ა-იები უფლებამოსილი იყვნენ, შეესრულებინათ მოვალის – ზ. ა-იას ვალდებულება მ. მ-შვილის მიმართ. აღნიშნული ნორმით გათვალისწინებული ქმედება იურიდიულად გამართლებულ. მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, თუკი ვალდებულებით ურთიერთობაში მონაწილეობის მსურველ სუბიექტთა ნება თავისუფალ. და ნამდვილი. ამდენად, სხვისი ვალდებულების შესრულებაზე დავის შემთხვევაში მესამე პირის ნების შემოწმება აუცილებელ..

სააპელაციო სასამართლოს დასკვნა, რომ მხარეთა შორის ნასყიდობის ხელშეკრულებით დაიფარა სასესხო ურთიერთობა, ეფუძნება მხოლოდ მ. ა-იას განმარტებას. ამასთან, სასამართლოს ამ დასკვნის გაზიარების შემთხვევაშიც გაურკვეველ. სადავო ნასყიდობის საგნის – საცხოვრებელი ბინის სხვა მესაკუთრეთა, გ. და შ. ა-იების ნება, იმის გათვალისწინებით, რომ ორივე მათგანი სადავოდ ხდის ნასყიდობის ხელშეკრულებას, ხოლო სასამართლო ამ პირთა მიერ სხვისი ვალის დაფარვის მიზნით ქონების განკარგვას მხოლოდ მ. ა-იას განმარტებით ადგენს.

საკასაციო სასამართლო უთითებს იმ გარემოებაზე, რომ მოცემულ საქმეზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 20 . . წ. . . ოქტომბრის განჩინებით სააპელაციო სასამართლოს, საქმის ფაქტობრივ გარემოებათა გამოკვლევის გზით დაედგინა მხარეთა შორის რეალურად წარმოშობილი

ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა სამოქალაქო კოდექსის 56-ე მუხლის მეორე ნაწილთან შესაბამისობაში. საკასაციო სასამართლო აღნიშნულ გადაწყვეტილებაშიც ასევე უთითებდა, რომ უნდა გარკვეულიყო სამოქალაქო კოდექსის 428-ე მუხლის საფუძველზე სხვა ვალდებულების შესრულებით ხომ არ შეწყვეტილა ვალდებულება, რაც ცალსახად მოიაზრებდა ვალდებულების შესრულებისა და შემსრულებლის ნების ნამდვილობის გამოკვლევას.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილებით საკასაციო სასამართლოს მითითება არ შესრულებულა, რაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველზე..

საქმის ხელახლა განმხილველმა სასამართლომ განჩინების კვლევით ნაწილში მითითებულ გარემოებათა გათვალისწინებით უნდა გამოარკვიოს:

რა ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა არსებობდა მოდავე მხარეთა შორის და ჰქონდა თუ არა ადგილი მხარეთა მიერ თვალთმაქცური გარიგების დადებას, რა გარიგება დაიფარა და დადებით შემთხვევაში დაფარული გარიგების სუბიექტებს რა ვალდებულებები გააჩნდათ ერთმანეთის წინაშე;

თვალთმაქცური გარიგების სუბიექტთა ნამდვილი ნება რას ისახავდა მიზნად და რა სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროთ მათ;

იკისრა თუ არა მ. ა-იამ შვილის, ზ. ა-იას სასესხო ვალდებულების შესრულება, და თუ იკისრა, უნდა გაირკვეს მისი ქონებრივი უფლებამოსილების ფარგლები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

მ. და გ. ა-იების საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 20 . . წ. . მაისის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

გამომცემლობა «გეორგია»

ხელმოწერილია დასაბეჭდად 28/10/2010

ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 15

შეკვეთა № ტირაჟი 120

ფასი სახელშეკრულებო